



ჩეთევან

ლოსაბერიძე

KETEVAN LOSABERIDZE

ავთანდილ გურასაშვილი

ქართული ოლიმპიური ჩემპიონები  
GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS



პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი  
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF  
**Elguja Berishvili**

პროექტის მენეჯერი  
ემზარ ზენაიშვილი

THE PROJECT MANAGER  
**Emzar Zenaishvili**

პროექტის კოორდინატორი  
რუსუდან აფციაური

THE PROJECT COORDINATOR  
**Rusudan Aptsiauri**

ტექსტი  
ავთანდილ გურასაშვილი

TEXT  
**Avtandil Gurasashvili**

დიზაინი  
ვახტანგ შატაიძე

DESIGN  
**Vakhtang Shataidze**

რედაქცია  
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,  
კარლო ფაჩულია, ზაალ ანჯაფარიძე, ინგა ალავეიძე,  
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF  
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,  
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,  
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო  
ავთანდილ გურასაშვილი, ალექსანდრე კოტორაშვილი,  
სერგეი სუბოტინი, არტემ სანიშვილი, [www.sportphoto.ge](http://www.sportphoto.ge)

PHOTO  
**Avtandil Gurasashvili, Aleksandre Kotorashvili,  
Sergey Subotin, Artem Sanishvili, [www.sportphoto.ge](http://www.sportphoto.ge)**

პარტნიორები  
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი  
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა  
საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაცია

PARTNERS  
**Georgian National Olympic Committee  
Olympic Solidarity of the International Olympic Committee  
Georgian Archery Federation**

ISSN 2233-3096  
ISBN 978-9941-0-3485-5

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები



# ქეთევან ლოსაბერიძე

2011



## შეხვედრა

1965 წელია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდ აუდიტორიაში საქართველოს ნორჩი ქიმიკოსები შეკრებილან და რესპუბლიკურ ოლიმპიადაში ერთმანეთს ეჯიბრებიან. ოლიმპიადის მონაწილეთა შორის არის ერთი ობოლი ქუთაისელი გოგონა, ბარიტის მალაროელი ლენინის ორდენოსანი მუშის შვილი. თბილისში პირველად ჩამოსულა და ვიდრე უნივერსიტეტამდე მოაღწევდა, ქალაქის სიდიდეს დაუთრგუნავს, ახლა კი ამ უშველებელ აუდიტორიასაც ფართოდ გახელილი თვალებით გასცქერის. აქამდე ვერც კი წარმოედგინა, რომ ქვეყნად სადმე ამხელა აუდიტორია თუ არსებობდა. იქ შეკრებილ თანატოლ გოგო-ბიჭების სიმრავლეც აფიქრებს. მერე თანდათან წყნარდება, მშვიდდება, ამგვარ ფიქრებს თავიდან იშორებს და თავის ქიმიურ ფორმულებს ჩაჰკირკიტებს.

იქვე მერხებს შორის რიგებში ერთი მისი თანატოლი ბიჭი ფეხაკრეფით დადის და თავის სიყრმის მეგობარ „ქონდარასგან“ ნათხოვარი „სმენათი,“ მონადირის სმენითა და მზერით, ოლიმპიადის მონაწილეებს აკვირდება...

გავა რალაც დრო და ის ბიჭი იქ გადაღებულ ერთ სურათში ნორჩ ფოტომოყვარულთა რესპუბლიკურ კონკურსში მესამე პრემიას დაიმსახურებს, ის გოგონაც იმ დიდი აუდიტორიიდან მესამე ხარისხის დიპლომს გამოიტანს. ეს დიპლომი იმ გოგონას პირველი წარმატებაა.

ის ქუთაისელი გოგონა დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკოსი, მშვილდოსნობაში მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში, ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი, კიდევ მრავალი საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონ-პრიზიორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, 1980 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი ქეთევან ლოსაბერიძე გახლავთ.



ეს სახელგანთქმული „ამორძალი“ თავის დროს ჩუბინობაში ვაჟებსაც კი სჯობნიდა. ასე იყო მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზეც, სადაც საბჭოთა მშვილდოსნობის ისტორიაში პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენელთაგან მსგავსი წარმატება ველარავინ გაიმეორა.

...მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ახლა ქეთევან ლოსაბერიძე ზის და უნივერსიტეტის დიდ აუდიტორიაში „სმენათი“ მონადირე იმ ბიჭს, თქვენს მონა-მორჩილს, თავისი ოლიმპიური ოქროს მოპოვებისა და სხვა ამბებსაც უამბობს: „მოსკოვის ოლიმპიური თამაშების მშვილდოსანთა სარბიელზე დამონტაჟებული ტაბლო ჩვენი ოთხდღიანი ბრძოლის პერიპეტიებს ყოველი გასროლის მერე ასახავდა. გამარჯვებას ყველა ბუტუზოვას უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ დაიწყო ბრძოლა და იმ ტაბლოზე პირველი სროლიდანვე ლიდერთა სათავეში „ლოსაბერიძე“ რომ დაიწერა, ბოლომდე ასე დარჩა. არადა, შეჯიბრების კომენტარისას ემა გაპჩენკომ ერთხელ ნათქვამი, ჯერჯერობით ქეთევან ლოსაბერიძე ლიდერობს, მაგრამ ყველაფერი შეიძლება მოხდესო, რატომღაც ჩაიხვია და მოშლილი პატეფონივით ბოლომდე ჯიუტად იმეორა და იმეორა. ემა გაპჩენკო მიუნხენის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი იყო. მაშინ გაპჩენკომ ბრინჯაოს მედალი სულ ბოლო წამს წამართვა და ეტყობა, ამიტომაც მალიმალ იმეორებდა, ყველაფერი შეიძლება, მოხდესო.

მოსკოვში ბოლო ისრის გასროლამდე არც მე ვიყავი დარწმუნებული, რომ ოქროს შეგნვდებოდი. მიუნხენის ოლიმპიური თამაშების მწარე გამოცდილება მაიძულებდა ფრთხილად, ყურადღებით, მობილიზებით მომეზიდა მშვილდი და გამარჯვება ნაადრევად არ მერწმუნა.

მაშინ, მიუნხენში ასეთი გამოცდილება სულაც არ მქონდა, რადგან ჩემს პირველ საერთაშორისო ტურნირზე ოლიმპიადამდე ერთი წლით ადრე გამოვედი.“

## გავშვობის აზრები

ვიდრე მიუნხენში თავის პირველ ოლიმპიადაზე გამოვიდოდა, ქეთევანი მშვილდოსნობაში ვარჯიშის მხოლოდ ოთხნობიან სტაჟს ითვლიდა, მანამდე კი სპორტის ამ სახეობაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. არც სხვა რამ სახეობაში ვარჯიშობდა, ზოგადად სპორტი კი ძალიან უყვარდა და ნიჭიერი იყო. განსაკუთრებით მათემატიკურ ფორმულებს ჩაჰკირკიტებდა, თუმცა ბავშვობაში ექიმობაზე ოცნებობდა. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ პატარა ქეთევანისგან ოდესმე ან ერთი დადგებოდა, ან მეორე, ოლიმპიური ჩემპიონობა კი მთლად აბსტრაქტული რამ იყო, რადგან ოჯახური და სოფლური პირობები მსგავს ოცნებას ფრთებს უკვეცავდა.

ქეთევანი ტყიბულის რაიონის სოფელ კიროვში დაიბადა. მამამისი ბაგრატი ლოსაბერიძე მთელს რაიონში ცნობილი და დაფასებული კაცი იყო. ბაგრატი მალაროში მუშაობით წელებზე ფეხს იდგამდა, რომ ცხრაშვილიანი ოჯახი როგორმე ერჩინა და თავი გაეტანა. ასეთი მონდომებული გარჯა ლენინის ორდენით დაუფასეს, რაც იმ დროს საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდო გახლდათ. ამიტომაც ბაგრატი ლოსაბერიძეზე, როგორც მონინავე მუშაზე, გაზეთები ბევრს წერდნენ. მისი ფოტოები ხშირად იბეჭდებოდა იმდროინდელი „კომუნისტის“, „ზარია ვოსტოკას“, „სოფლის ცხოვრებისა“ თუ სხვა გაზეთების ფურცლებზე, მაგრამ ქეთევანის პრესასთან შედარებით, რაც მის ოლიმპიურ ჩემპიონობას მოჰყვა, მამისა რა მოსატანია.

„მამას ჩემი გამარჯვებები ძალიან ახარებდა. მედლით დაბრუნებულს რომ დამინახავდა, უმალ სუფრას შლიდა, მეზობლებს ეპატიჟებოდა და მეუბნებოდა, მოდი, ჩემი ვაჟკაცი გოგო, გვერდზე დამიჯექი და მხარი დამიმშვენიო. დედა კი ჩემს წარმატებებს ვერ მოესწრო...“

დედა, ბაბილო ქობულაძე, დიასახლისობდა და შვილებს იყო მიჯაჭვული. მართალია, მშვირები არ იყვნენ და სხვებსაც ეხმარებოდნენ, მაგრამ დალხენილი ცხოვრება სულაც არ ჰქონდათ. ამიტომ დედმამიშვილთაგან





უფროსმა ძმამ, მეცხრე კლასში რომ იყო, სწავლა მიატოვა და მშობლებს მხარში ამოუდგა. მერე მომდევნო ძმასაც, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბოლო კურსზე სწავლის მიტოვება მოუწია. პატარა ქეთევანი კი მერვე შვილი იყო. და-ძმანი სკოლაში ბეჯითი სწავლით გამოირჩეოდნენ, მაგრამ ქეთევანი მაინც ყველას აოცებდა. თავისი გაუთავებელი მიმატება-გამოკლებებით, გამრავლება-გაყოფებით და ათასნაირი ფორმულებით ყველას გულს უწყალებდა. მისი თანატოლი გოგონები თუ თოჯინებით ერთობოდნენ, ქეთევანის თავშესაქცევი ციფრებში კირკიტი იყო. ამგვარ „ცელქობაში“ ციფრები ისე უტრიალებდა თავში, რომ ახლაც კი და-ძმას ზოგჯერ სახელებით კი არა, ციფრებით მოიხსენიებს. უფროსი, მაგალითად, პირველი ნომერია, ნაბოლარა — მეცხრე და ა. შ.

„მშობლებმა ჩემი და ჩემი და-ძმების ნიჭიერებასთან ერთად სწავლისადმი ლტოლვაც რომ დაინახეს, იფიქრეს, ბავშვები ამ მიყრუებულ სოფელს თუ არ გავარიდეთ, მთლად დაგვეჩაგრებიანო და ამიტომ ქუთაისში, მწვანეყვავილაზე სახლი იყიდეს, — იხსენებს ქეთევანი, — საუბედუროდ, მალე დავობლდი. სოფელში დედა გარდამეცვალა. ექიმს რომ მიესწრო, უთუოდ ეშველებოდა, მაგრამ იმ საურმე გზაზე მაშინ სასწრაფო დახმარების მანქანას რა უნდოდა. დედის სიკვდილი ძალიან განვიცადე და სწორედ მაშინ ვიფიქრე, ექიმი უნდა გამოვიდე და ყველა გაჭირვებულს დავეხმარო-მეთქი. ოთხი წლის მერე მამამ მეორე ცოლი შეირთო. საბედნიეროდ, გაგვიმართლა და მისგან დედინაცვლობა არც გვიგრძვნია. წლების მერე შვილი რომ შემეძინა, სულ ზღაპრებს ვუამბობდი და ვუკითხავდი, მათ შორის ნიქარაზე, კონკიაზე, ფიფქიასა და შვიდ ჯუჯაზე, რომელშიც ბოროტ დედინაცვლებზეა მოთხრობილი. თან ბავშვს ესმოდა და თავადაც ხედავდა, რომ კარგი დედინაცვალი მყავდა. ამიტომაც ბებიას ეუბნებოდა, გუგულა ბებო, მეც მინდა, რომ შენსავით... კარგი დედინაცვალი მყავდესო. მაგრამ ეს მერე იყო, მაშინ კი...

ჰო, იმას ვამბობდი, კარგად ვსწავლობდი-მეთქი. ცოტა უცნაური კი ის იყო, რომ მათემამტიკით გატაცებული და ექიმობაზე მეოცნებე, თბი-

ლისის უნივერსიტეტში ქიმიის რესპუბლიკურ ოლიმპიადაში ვმონაწილეობდი. ობლობაში გაზრდილ-დაკომპლექსებულს მეგონა, ქალაქელებთან რას გავხდები-მეთქი, მაგრამ მესამე ხარისხის დიპლომი მოვიპოვე. ეს ჩემს ცხოვრებაში პირველი წარმატება და ჯილდო იყო. ამით ძალიან გავახარე ჩემი ქიმიის მასწავლებელი. იგი უნივერსიტეტდამთავრებული იყო. მაშინ უნივერსიტეტდამთავრებულ კაცს სულ სხვა დაფასება ჰქონდა. ამიტომ, როცა საუბრობდნენ, მის უნივერსიტეტელობას უთუოდ ხაზგასმით აღნიშნავდნენ. ერთი სიტყვით, უნივერსიტეტის დიდმა აუდიტორიამ ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. მაშინ თბილისშიც პირველად მოვხვდი, მანამდე კი ჩემს თანაკლასელ ქარქაშაძის გოგოს შევნატროდი. ჩოგბურთში ვარჯიშობდა და თბილისში შეჯიბრებებზეც დადიოდა, მე კი ქუთაისსა და ჩემს მწვანეყვავილას არ გავცდენოდი და ჩოგბურთელობაზეც ვოცნებობდი. თანაც სულ ალექსანდრე მეტრეველისა და თეიმურაზ კაკულიას წარმატებების შესახებ მესმოდა. იმ დროს სკოლის პირველობაზე მძლეოსნურ კროსში გამოვდიოდი და ისევ ციფრებს ვუკირკიტებდი. მეშვიდე კლასის დამთავრების მერე თბილისში კომაროვის სახელობის მათემატიკურ სკოლაში ჩემი გადმოყვანა უნდოდათ, მაგრამ ძმებმა არ გამომიშვეს, იქ ვერ მოგხედავთო. ამიტომ ისევ ქუთაისს შევრჩი. ამასობაში სკოლის დამთავრების დროც მოვიდა. მაშინ მეთექვსმეტე კლასელებს სკოლა გადაგვაბალახეს, რადგან მეთექვსმეტე კლასელებთან ერთად დავამთავრეთ. მეგონა, სკოლას ოქროს მედალზე დავამთავრებდი, მაგრამ ვერცხლს დამაჯერეს და პირველ უსამართლობასაც მაშინ შევეყარე. ყველაფერში ფრიადი დამინერეს, მათ შორის ქართულ წერაშიც, სადაც გამოცდაზე „გმირობა და ჰუმანიზმი ვაჟას შემოქმედებაში“ დავწერე, მაგრამ განათლების განყოფილებაში არაჰუმანურად მომექცნენ — სკოლაში მიღებული ხუთიანი ოთხიანად გადამიკეთეს. ის ჩოგბურთელი თანაკლასელი, ქარქაშაძის გოგოც ჩემსავით დაჩაგრეს. საერთოდ, ჩვენი კლასელები კარგი სწავლით გამოირჩეოდნენ. ოქროს მედლის კანდიდატები ბევრნი ვიყავით, მათ შორის

კლასის დამრიგებლისა და დირექტორის მოადგილის შვილებიც, მაგრამ ოქროს მედლებს სულ ჩვენს კლასელებს ხომ არ დაურიგებდნენ. ჩემმა ძმამ ის ოთხიანი გააპროტესტა. შინ ყურებჩამოყრილი რომ დაბრუნდა, მითხრა, შენი ნაწერი მაჩვენეს და წითლად ისე იყო აჭრელებული, მიკვირს, ან ის ოთხიანი როგორ დაგინერესო. ეტყობა, ძმას სხვისი ნაწერი აჩვენეს. ამიტომ იმ დღის მერე ჩემი სკოლისკენ აღარც გამიხედია. ოლიმპიური ჩემპიონი რომ გავხდი, ათას სასწავლებელში და ორგანიზაციაში მიწვევდნენ, მათ შორის ჩემს მე-8 სკოლაშიც, მაგრამ იქ ფეხი აღარ შემიდგამს და ის დაუმსახურებელი „სასჯელი“ დღესაც კი მძიმედ მახსოვს. თუმცა სკოლა, რა თქმა უნდა, არაფერ შუაში იყო და იქნებ იქ აღარც ის მასწავლებლები მუშაობდნენ.“

ასე იყო თუ ისე, მომავალი ჩემპიონი სკოლის დამთავრების შემდეგ არჩევანის წინაშე დადგა. გული ისევ ექიმობისკენ მიუწევდა, ძმები კი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტს ურჩევდნენ. ქალისთვის, აბა, უკეთესი რა უნდა იყოსო: დაამთავრებ პედაგოგიურს, სკოლაში ბავშვებს ასწავლი, შინ ადრე მოხვალ, დაჯდები სახლში, მოსწავლეებს საკონტროლოებსაც აქვე გაუსწორებ, ზოგიც აქვე მოგივა და რეპეტიტორობას გაუწევო. მამას კი ქალიშვილების სწავლა-განათლება დიდად არ ანაღვლებდა...

— მამა ძველი, კონსერვატიული შეხედულებების კაცი იყო. ამბობდა, ქალს რად უნდა უმაღლესი სასწავლებელი, ქალი შინ უნდა იჯდეს და ბედს ელოდეს, პატრონს დროზე ჩაბარდეს და ოჯახს მიხედოსო. მაგრამ ბოლოს მაინც ძმების რჩევას დავეყვი და ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკურზე ჩავაბარე...

## ჯაშიაშვილის ჯოხი და ნაეკლა

ძმების რჩევამ ქეთევანის მომავალი რადიკალურად შეცვალა და განსაზღვრა. ასე დაიწყო ახალი, საინტერესო, რომანტიკული და სისხლსავ-



1967 წელს ქეთევან  
ლოსაბერიძე პირველად  
გაზდა საქართველოს  
ჩემპიონი.  
მაშინ ინდაურის ფრთებიან  
ისრებს ისროდნენ



1970-იან წლებში ქეთევან  
ლოსაბერიძის მთავარი  
კონკურენტი იყო ლვოველი  
ვალენტინა კოვბანი

სე ცხოვრება. თავიდან კი თითქოს ყველაფერი პროზაული ჩანდა: ლექციები, მეგობრები, ჩვეულებრივი სტუდენტური ცხოვრება, ოცნებები და იმედები... იმ ოცნებებსა და იმედებში მშვილდ-ისარი ნამდვილად არ ჩანდა. ეს უძველესი იარაღი ქეთევან ლოსაბერიძის ცხოვრებაში სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა.

„ინსტიტუტში სწავლისას თავდაპირველად საერთო ფიზიკულტურის გაკვეთილები გვქონდა. მერე სტუდენტები სხვადასხვა სპორტულ სექციებში გადაანაწილეს, ჩემთვის კი ვერც ერთი ვერ გაიმეტეს, თუმცა საერთო ფიზიკურ მომზადებაში არავის ჩამოვრჩებოდი, პირიქით, სხვებს ვჯობდი კიდევ. რაც არ უნდა იყოს, სოფლის სკოლაგამოვლილი ვიყავი. გარდა იმისა, რომ ქალაქელებთან შედარებით სოფელში ფიზიკური შრომაც მიწევდა, მეც ჩვეულებრივი ცელქი და ახტაჯანა ვიყავი, სულ სოფლის ორლობებში დავრბოდი, ხან ხეებზე ვცოცავდი და ხან კლდეებზე, რამაც ფიზიკურად გამაკაჟა. და მაინც, ინსტიტუტში სპორტის ვერც ერთ სახეობაში ჩემი ადგილი ვერ დაინახეს და საერთო მომზადების ჯგუფში გამამწესეს. ერთ მშვენიერ დღეს ფიზიკულტურის გაკვეთილზე ვილაც სამხედროფორმიანი კაცი დაგრეხილი ჯოხითა და ნკეპლით ხელში გამოგვეცხადა. თადარიგის პოდპოლკოვნიკი, საქართველოში სპორტული მშვილდოსნობის დანერგვის ერთ-ერთი პიონერი, ამ საქმეზე ფანატიკურად შეყვარებული შალვა ჯაშიაშვილი აღმოჩნდა. ის დაგრეხილი ჯოხი და ნკეპლა კი მშვილდ-ისარი ყოფილა.“

ბატონმა შალვამ, რატომღაც, მხოლოდ გოგოებს დაადგა თვალი. თითოეულს ცერა თითი თვალწინ მოგვიტანა და აბა, მზერა გააყოლგამოაყოლეთო. ამაზე ფხუკუნი აგვიტყდა, მაგრამ თურმე თვალის სიზუსტეს გვიმონებდა და წამყვანი, მუშა თვალის დადგენას ცდილობდა. მერე ხელი გაგვაშლევინა, იდაყვი შეგვიმონმა და ბოლოს ათნი შეგვარჩია. იქვე ინსტიტუტის სარდაფში ტირი ყოფილა, ყველანი იქ ჩაგვიყვანა და ვარჯიში დაგვანყებინა, თან მშვილდოსნობაზე საინტერესო ამბებს გვიყვებოდა.“

შალვა ჯაშიაშვილი სტუდენტებს უამბობდა მშვილდოსნობის ისტორიას, მოუთხრობდა ლეგენდებსა და მითებზე, მოისართა ქართულ ტრადიციებზე...

მშვილდოსნობა მსოფლიოს ყველა ხალხში უხსოვარი დროიდანაა ცნობილი. მშვილდი და ისარი ნადირობის საშუალებაც იყო და საბრძოლო იარაღიც, შემდგომ კი თანდათან სპორტული ფუნქცია დაეკისრა.

პირველი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელშიც მშვილდოსნობაზეა საუბარი, უკვდავი ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“. სპორტული თამაშების ყველაზე ადრეული, ჩვენს ნელთაღრიცხვამდე 8 ათასი წლის წინანდელი აღწერა, მისი შინაარსი, ხასიათი და მასთან ხალხის დამოკიდებულება სწორედ „ილიადაში“ გვხვდება. „ილიადას“ 23-ე ქებაში დიდებულადაა აღწერილი პატროკლეს ხსოვნისადმი მიძღვნილი სპორტული პაექრობანი, მათ შორის მშვილდოსნობაშიც...

ჰომეროსი თითქოს ჯადოსნურ სარკეში გვახედებს და გვაჩვენებს გარდასულ დროთა სპორტულ პაექრობებს, ჩვენც განგვაცდევინებს შეჯიბრების მონაწილეთა განსაცდელს, გვაღელვებს ისევე, როგორც ასპარეზობის თვითმხილველს. მშვილდოსნობა განსაკუთრებით საინტერესოაა აღწერილი „ოდისეაში“, რომელშიც ყველაზე მეტად ყურადღებას იპყრობს მე-6 თავი — „დიდი მშვილდოსანი“...

ისტორიული წყაროების მიხედვით, ევროპაში მშვილდოსანთა პირველი პაექრობები შუასაუკუნეების შვეიცარიაში გაიმართა. იმაზე, თუ ამ ქვეყნის მთიან და ტყიან კანტონებში როგორი დახელოვნებული მშვილდოსნები იყვნენ, მოგვითხრობს ლეგენდა ვილჰელმ ტელზე, ლეგენდებსა და მითებში კი სიმართლის დიდი მარცვალიცაა. ან გავიხსენოთ ლეგენდა შერვუდის ტყეთა მბრძანებელ რობინ ჰუდზე, რაც ამ საქმეში ბრიტანელთა საარაკო დახელოვნებაზე მიუთითებს. გავიხსენოთ ვალტერ სკოტის რომანი „აივენჰოლი“, რომლის ერთი ეპიზოდი მეფის კარის მეტყვევე ჰუბერტთან მშვილდოსნობაში ლოკსლის გაჯიბრებაზე და გამარჯვებაზე გვიამბობს.

## აზიზი

შუაგულ ევროპაში სხვათა მშვილდოსნობის ამბების შესატყობად რომ არ წავიდეთ, ამ საქმეში დაოსტატების ფაქტები საქართველოშიც მრავლად მოიპოვება, რაც ისტორიულმა წყაროებმა, ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ თუ ხელოვნების ნიმუშებმაც საკმაოდ შემოგვინახა.

უძველეს სამარხებში აღმოჩენილი ნივთები, სკულპტურული ფიგურები, შუასაუკუნეების ხელნაწერი წიგნების მინიატურებზე თუ რელიეფებზე აღბეჭდილი ნადირობის სცენები, მიუთითებს მშვილდოსნობის უდიდეს როლზე, რომელიც მას ქართველთა ყოფა-ცხოვრებაში, მათ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში ეკავა. ამ მხრივ, ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო ნიმუშია საგარეჯოში 1935 წელს ნაპოვნი ძველი წელთაღრიცხვის VIII-VII საუკუნეების ბრინჯაოს სარტყელი, რომელზეც მშვილდისრით ნადირობის სცენებია გამოსახული, ამ მხრივ ძალზე საინტერესოა აგრეთვე VII საუკუნის ატენის სიონის რელიეფი ნადირობის სცენებით. ნადირობა კი საქართველოში ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთ უმთავრეს საქმედ და სპორტულ ასპარეზობადაც იყო მიჩნეული, რაზეც მრავალი ავტორი მიუთითებს, მათ შორის ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე რობაქიძე...

საქართველოში მშვილდოსნობის პოპულარობის დასტურია ქართული ზეპირსიტყვიერება, ლეგენდები, ლიტერატურული ნაწარმოებები თუ სხვა ისტორიული წყაროები.

აპოლონიუს როდოსელი თავის „არგონავტიკაში“ ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის მერვე საუკუნის ამბების აღწერისას გვიამბობს: „ქუთაისთან, არესის ველი ქალაქის პირისპირ მდებარეობდა და მდინარის ნაპირს ოდნავ იყო მოშორებული. არესის ველზე ვრცელი ასპარეზები იყო გაშლილი და გარს მოაჯირი ერტყა. კოლხები აქ ბრწყინვალე გმირების მოსაგონებლად რბენას და მხედრულ შეჯიბრებებს აწყობდნენ“...





ქეთევან ლოსაბერიძემ  
სსრ კავშირის ჩემპიონის  
პირველი ტიტული  
1973 წელს  
ალმა-ათაში მოიპოვა



სსრ კავშირის ნაკრები  
— მსოფლიოს გუნდური  
ჩემპიონი.  
გრენობლი, 1973 წელი

ქართველთა მხედრული შეჯიბრებების პროგრამაში მუდამ იყო მშვილდოსნობა და ყაბახი, რაც მოასპარეზისგან ერთდროულად ცხენოსნობასა და მშვილდოსნობაში დაოსტატებას მოითხოვს. მშვილდოსნობა ძალზე პოპულარული იყო შუასაუკუნეების საქართველოშიც და შემდგომ დროშიც.

„ქართველები მშვილდ-ისარს ხმარობენ საოცარი სიმარდით და მთელს აზიაში საუკეთესო სახელი აქვთ განთქმული“, — წერდა ფრანგი მოგზაური ჟან ბატისტ ტავერნიე თავის „მოგზაურობა საქართველოში“.

ვახტანგ ერეკლეს ძე ბაგრატიონი თავის „ისტორიები აღწერაში“ მოგვითხრობს:

„შემდგომად გავიდიან ასპარეზსა მეფე და წარჩინებულნი და მრავალნი ერნი. დასვიან ყაბახსა ზედა და ოქროსა ანუ ვერცხლის ჭურჭელი რაიმე და უწყიან ჩინებულთა და უფროს ჭაბუკთა ისართა სროლა ესე გვარად, ცხენსა ისხდებოდნენ კარგად დაკაზმულსა, შემოიცვებიან მარცხენა მკლავსა მშვილდსა და წელსა ჰქონდა ისარი კოდალი და ოდეს დასძრამდნენ გასაჭენებლად ცხენსა, მაშინ გაამზადებდნენ მშვილდისარსა სასროლად და მცირე ხანს გაატარებდნენ დაწეულს მშვილდსა, მიყვანდათ ცხენი ფიცხითა ჭენებითა და ოდეს გააცილიან მუხლი ყაბახსა, მაშინ გარდუხარიან მარჯვენა მხარესა და ესროდიან ისარსა ჭურჭელსა მას, რომელიცა იყვის ოქროსა, ანუ ვერცხლისა ყაბახსა ზედა და რომელმაც ჩამოაგდის მიაართვესა მეფესა, ხოლო მეფემან მიუბოძოს ჯილდო და ჭურჭელიც იგი იყვის მისი...“

ნადირობა, მშვილდოსნობა, ყაბახი და საერთოდ, მიზანში სროლა აღწერილია რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“, მშვილდოსნობაზე საუბარია „რუსუდანიანში“, ფეშანგის „შაჰნავაზიანში“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისაში“, გრიგოლ ორბელიანის „იარალიში“.

საინტერესოა ძველი ქართული ტერმინოლოგიაც, რომელსაც მეფე პოეტი, ქართული ზნეობის ფილოსოფიის ავტორი და საქვეყნოდ გან-

თქმული მოასპარეზე, მშვილდოსანი და მობურთალი არჩილი თავის „არჩილიანში“ მიუთითებს, კერძოდ — „აშფაშაქზე“ (ანუ მიზანში სროლაზე), „სეფქაზე“ (ისრის განსხვავებული სახე).

ასევე ძალზე საინტერესოა მეფე პოეტის, ქართული სპორტის ერთ-ერთი პირველი მისტორიისა და თავადაც უბადლო მოასპარეზე თეიმურაზ მეორეს ენციკლოპედიური ნაშრომი „სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასების“ სპეციალურ კარში პოეტურად აღწერილი „აქა ყაბახისა და ბურთაობის ამბავი“, სადაც ყოდალი განმარტებულია როგორც „ფრთოსანი ისარი“.

ქართულ სპორტულ ასპარეზობებზე, მათ შორის მშვილდოსნობაზე და ყაბახზე აღტაცებითა და გაოცებით მოგვითხრობენ უცხოელი ავტორებიც, მათ შორის იტალიელი მისიონერები დიონიჯო კარლი, არქანჯელო ლამბერტი და დონ კრისტოფორო დე კასტელი, რომელმაც მრავალი ნახატი მიუძღვნა ქართულ ასპარეზობებს. ესენია: „ყაბახი“, „ნიშანში სროლა“, „საბახტარ ავალიშვილი“, „ნადირობა“...

თუ არ ჩავთვლით კასტელის ნახატებს და სხვა ამგვარ იშვიათ გამო-ნაკლისებს, ქართული მშვილდოსნობის, ისე როგორც ზოგადად ქართული სპორტის თემატიკა, ნაკლებად შემოგვინახა ჩვენმა სახვითმა ხელოვნებამ. ამ ნაკლს „ანაზლაურებს“ ახალი დროის ქართული ხელოვნება, რომელშიც ერთ-ერთი პოპულარულია ყაბახი, მიზანში სროლა და ზოგადად მშვილდოსნობა. ამგვარ თემატიკას მიმართავს ფერწერაში დავით კაკაბაძე („მშვილდოსანი“, 1914 წ.). ქანდაკებაში გამოსარჩევია ირაკლი ოქროპირიძე („ყაბახი“, 1957), გრაფიკაში — ირინა შტენბერგი („სპორტსმენები“, 1933), იოსებ შარლემანი (ფრაგმენტი „ჩოგანბურთიდან“, 1938).

ქართულ სახვით ხელოვნებაში მშვილდოსნობა და მშვილდოსნობის ელემენტები განსაკუთრებით პოპულარული გახდა მას მერე, რაც ქეთევან ლოსაბერიძემ არნახულ წარმატებებს მიაღწია და მას სხვებმაც მხარი აუბეს. ფერწერაში ასე დაიბადა აპოლონ ქუთათელაძის „თამარ მეფის ნადირობა“ (1971), გივი თოიძის „მშვილდოსანი“ (1971), დემურ გრიგოლიას



ლუქსემბურგში  
გამართული ვერობის 1972  
წლის ჩემპიონატი ქეთევან  
ლოსაბერიძისთვის  
ძალზე წარმატებული  
გამოდგა — ქართველმა  
მშვილდოსანმა  
აბსოლუტური და  
გუნდური ჩემპიონის  
ტიტულები მოიპოვა

იმავე სახელწოდების ნახატი (1979), ქანდაკებაში — დავით გრიგოლიას ასევე „მშვილდოსანი“ (1979), გრიგოლ გუგუნავას „ანტიკური მოტივი“ (1995), თემო ნაცვლიშვილის სპორტული მედლების სერიიდან — „ყაბახი“ (1999)...

მაგრამ ეს ყოველივე მერე იყო, მაშინ კი, პირველკურსელი ქეთევან ლოსაბერიძე მშვილდოსნობის ამბებს რომ ეცნობოდა და კითხულობდა, ინტერესი სულ უფრო უღვივებოდა, არადა, თავდაპირველად ამ საქმეზე სულაც არ ფიქრობდა.

## ნესტიანი სარდაფი და მსოფლიო ფესტივალი

სტუდენტობის დასაწყისში ქეთევანი ისევ ჩოგბურთელობაზე ოცნებობდა, ისევ კორტებისკენ გაურბოდა მზერა, მაგრამ ჩოგბურთელობა მისთვის უკვე დაგვიანებული იყო.

„რადგან პირველკურსელებს რაიმე სპორტულ სექციაში ვარჯიში მოგვისაჯეს, იძულებული ვიყავი ბედს შევრიგებოდი და იმ ნახევრადბნელ, ნესტიან სარდაფში მევლო, ოლიმპიურ თამაშებზე კი არც ვფიქრობდი, მით უმეტეს, რომ მშვილდოსნობა მის პროგრამაში აღარ იყო. მთელი ყურადღება სწავლაზე მქონდა გადატანილი, თანაც, ხეირიანი არც მშვილდი გვქონდა და არც ისარი, მაგრამ ერთი წლის მერე საქართველოს ჩემპიონი გავხდი, რაც თავადაც ძალიან გამიკვირდა და სხვებიც გაოცდნენ. თუმცა მაშინ მშვილდოსნობა საქართველოში განვითარებული სულაც არ იყო და დიდად არც არავის აინტერესებდა. ქუთაისის გარდა, ლენინგორში და ბათუმში რამდენიმე ენთუზიასტი ვარჯიშობდა და კიდევ რამდენიმე ქარხნის ფიზკულტურულ კოლექტივში. ეს სახეობა არც ყოფილ საბჭოთა კავშირში იყო განვითარებული.“

საბჭოთა კავშირში სპორტული მშვილდოსნობა პირველად 1957 წელს იხილეს. მაშინ მოსკოვის „ავანგარდის“ სტადიონზე მსოფლიოს ახალგაზ-

რდობისა და სტუდენტთა ფესტივალზე მშვილდოსანთა საჩვენებელი გამოსვლა გაიმართა. ამის მერე იმავე სტადიონზე მწვრთნელმა ბ. ბოდბერგმა მთელს საბჭოთა კავშირში მშვილდოსანთა პირველი სექცია ჩამოაყალიბა. იმავდროულად ამ საქმით ძალზე დაინტერესდნენ ლვოვშიც, პირველი მოისარნი კი ტყვიის მსროლელები იყვნენ. პირველ წარმატებას მაინც ლვოველებმა მიაღწიეს, სადაც თავიანთი ჯაშიაშვილები ჰყავდათ. ერთ-ერთი ასეთი ნიკოლაი კალინიჩენკო და მიხეილ ხუსკივაძე იყვნენ.

ამ ხუსკივაძეს გვარი ჰქონდა ქართული, თორემ რუსი იყო. ხუმრობდა ხოლმე, ბაბუა ქართველი მყავდა, მამა ნახევრად რუსი, მე კი ქართული გვარის რუსი ვარო. ეს ხუსკივაძე ომსკში დაიბადა, მოსკოვში გაიზარდა და ბოლოს ლვოვში დაფუძნდა.“

ასე იყო თუ ისე, ამ ენთუზიასტების წყალობით ლვოვის სამედიცინო ინსტიტუტის ბაზაზე საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი მშვილდოსნები აღიზარდნენ. მათ შორის ვიქტორ სიდორიუკი და ნონა კოზინა. სიდორიუკმა, ჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებს საძირკველიც რომ არ ჰქონდა ჩაყრილი, საერთაშორისო ტურნირზე გაიმარჯვა. სიდორიუკი მერე საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონიც გახდა (1963) და ეს ტიტული კიდევ ხუთჯერ დაიცვა, კოზინამ კი ოთხჯერ მოიპოვა საკავშირო ჩემპიონატების ოქროს მედლები. სულ მალე მშვილდოსნობა მიუნხენის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს და ამ საქმეს საბჭოთა კავშირში უკვე სერიოზულად მიუდგნენ.

## სუთრგოლიანი მშვილდოსნობა

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების პროგრამაში მშვილდოსნობა პირველად 1900 წელს პარიზში გამოჩნდა. მაშინ მშვილდოსნები, ტყვიის მსროლელებივით, ცოცხალ სამიზნეებს ესროდნენ და გარეულ ფრინველებზე ნადირობდნენ.

გარეული ფრინველი ყველაზე უკეთ მოინადირა ავსტრალიელმა მაკინტოშმა, თუმცა მისი სახელი, ისე როგორც მშვილდოსანთა ტურნირის უმრავლეს გამარჯვებულთა პრიზიორებისა, ისტორიამ არ შემოგვინახა. პარიზში გარეულ ფრინველებზე სროლა მშვილდოსანთა ერთადერთი დისციპლინა იყო, სადაც სამივე მედალი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიპოვეს. აქ მეორე იყო ესპანელი დიდგვაროვანი, მარკიზი დე ვილიავისიოსა, ხოლო მესამე — ამერიკელი მერფი. მშვილდოსნობაში პირველ ოლიმპიურ ჩემპიონთა შორის არიან აგრეთვე ფრანგები ჰერუენი, მუჟენი, ფულონი და ბელგიელი ვან ინინსი, რომელმაც ორი ოქროს და ერთიც ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ასე რომ, მშვილდოსანთა შეჯიბრებების ექვსი დისციპლინიდან სამში ყველას ფრანგებმა აჯობეს. მათ 50 მეტრზე „შაპელში“ და „ალაპერში“ საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხური შეავსეს. ბელგიელი ვან ინინსი ერთადერთი იყო, ვინც ფრანგთა დავაში ჩაერია და მშვილდოსანთა ტურნირიც საუკეთესო ნადავლით დაასრულა. მან ორი პირველი და ერთიც მეორე ადგილი დაიკავა.

მომდევნო, სენტ ლუისის ოლიმპიური თამაშების მშვილდოსანთა პაექრობაში პირველად გამოჩნდნენ ქალები. მთელ ამ ოლიმპიურ თამაშებში სულ რვა ქალი მონაწილეობდა და რვავე ამერიკელი მშვილდოსანი იყო. მათგან საუკეთესო აღმოჩნდა მერი ჰაუელი, რომელიც მთელი თავით მალლა იდგა მეტოქეებზე. მან სამივე დისციპლინაში პირველობა მოიპოვა და გახდა მთელს დედამიწაზე პირველი ქალი, ვინც სამგზის ოლიმპიური ჩემპიონობა იზეიმა. მან მოკლე დისტანციაზე სროლაში, რასაც „კოლუმბიური სერია ერქვა“, 237 ქულით აჯობა მეორე პრიზიორს, ხოლო „ორმაგ ეროვნულ სერიაში“ ანუ გრძელ დისტანციაზე 201-ქულიანი სხვაობით იმარჯვა, მესამე ოქროს მედალი კი გუნდურ შეჯიბრებაში დაიმსახურა.

სენტ ლუისის მშვილდოსანთა ტურნირში ყველა მედალი ქალებშიც და ვაჟებშიც ამერიკელებმა მოიპოვეს, თუმცა სარბიელზე სხვა ქვეყნების წარმომადგენლები არც გამოსულან.

ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე მშვილდოსანთა პროგრამა შემცირდა, ქალები ერთ, ხოლო ვაჟები ორ დისციპლინაში გამოდიოდნენ. აქ უკვე ამერიკელთაგან ერთადერთმა შესძლო მედლის მოპოვება, დანარჩენი ჯილდოები კი ფრანგებმა და დიდბრიტანელებმა დაისაკუთრეს. მათგან უმთავრესი ყურადღება ბრიტანელმა ქუეინ ნიუვოლმა მიიპყრო, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონი 54 წლისა გახდა.

1912 წლის სტოკჰოლმის ოლიმპიურ თამაშებზე მშვილდოსნობა დაივიწყეს, 1920 წელს კი კვლავ გაიხსენეს ანტვერპენში, მაგრამ შემდგომ ეს სახეობა დიდი ხნით, 1972 წლამდე კვლავ დავიწყებას მიეცა. ანტვერპენში თავი ყველაზე მეტად გამოიჩინა ბელგიელმა ვან ინის ჰუბერტმა, სწორედ იმ ვან ინისმა, რომელმაც პარიზში ორი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა. ანტვერპენში მან პარიზული წარმატება გაიმეორა.

შესაძლოა, ანტვერპენში სხვა მისმა თანაგუნდელმა მეტი ნადავლი დაიმსახურა, მაგრამ ოთხ დისციპლინაში გამარჯვებულის ვინაობა მათთან არ შემოგვინახა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ იმ ოთხივე დისციპლინაში გამარჯვებული ვილაც ბელგიელი თუ ბელგიელები არიან.

ერთი სიტყვით, 1972 წლამდე ასეთი წინაისტორია ჰქონდა ხუთრგოლიან მშვილდოსნობას, რომელიც, მიუნხენის ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული, მისი პროგრამის განუყოფელი ნაწილია.

მაშინ, როცა მშვილდოსნობა კვლავ გაოლიმპიურდა, ამ საქმეს საბჭოთა კავშირში უდიდესი ყურადღება მიაპყრეს.

## ინდაურის ფრთები

მშვილდოსნობის გაოლიმპიურების მერე ქეთევან ლოსაბერიძესა და ჯაშიაშვილის სხვა ამორძალ გოგოებს ნამდვილი, თანამედროვე მშვილდისრები ელირსათ. მანამდე შალვა ჯაშიაშვილი ისრებს თავადვე თლიდა და აკეთებდა. ამ საქმეში ქართველებს დიდი ტრადიციები ჰქონდათ. ჩვე-





გრენობლის მსოფლიოს  
ჩემპიონატზე. 1973 წელი

ნი წინაპრები მშვილდს, როგორც სხვა ერები, ძირითადად ხისგან ამზადებდნენ, მაგრამ ზოგჯერ, როგორც ვახუშტი გადმოგვცემს („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“), „მშვილდმოქმედნი აკეთებდნენ რქისაგან მჯიხვისა, თხისაგან და ხართაგან“.

ვერ გეტყვით, იმ შორეულ წარსულში ისრის ტრაექტორიის დასაცავად მშვილდმოქმედნი ინდაურის ფრთას იყენებდნენ თუ არა, მაგრამ ჯაშიაშვილმა ამ საქმისთვის სწორედ ეს ფრინველი შეიგულა. საამისოდ მაკრატლებით შეიარაღებული შალვა და მისი ათ-თხუთმეტქალიანი რაზმი თურმე ბაზარში გასაყიდად გამოყვანილ ინდაურებს ფრთებს აჭრიდნენ. ჰოდა, ენაკვიმატ ქუთაისელებსაც მეტი რალა უნდოდათ და ეს ამბავი ანეკდოტით დადიოდა: ქალებო, ვინცხა შალვა ჯაშიაშვილი და იმისი გადარეული გოგოები მოდიან და დავმალეთ ინდაურები, თვარა, გაგვიპუტავენ და თლად გაგვიშიშვლებენო.

— მართლაც ასე ოხუნჯობდნენ შალვა ჯაშიაშვილის გამოჩენაზე. ბაზარში ქალები ინდაურებს კაბის ქვეშ მალავდნენ, — იხსენებს ქეთევანი, — ჩვენ ინდაურის ფრთის ქვედა ნაწილი გვჭირდებოდა. საისრედ თითო ფრთის თითო ღერი გამოდგებოდა, ყველაზე მოკლე. ვითომ სავაჭროდ მისულები, ჩუმად, იმ ღერს ვაჭრიდით. მერე, ეს ამბავი რომ გაგვიგეს, გამყიდველები ინდაურებთან ახლოს აღარ გვაკარებდნენ, ვილას უნდა გაპუტებული ინდაური, ასე გაუბედურებული არ გვეყიდებო. ამის მერე ქუთაისში ახლა იმაზე დაიწყეს ოხუნჯობა, რომ საგონებელში ჩავარდნილ შალვა ჯაშიაშვილს ინდაურების ფერმის მოშენება გადაუწყვეტიაო.

ქეთევან ლოსაბერიძემ აი ასე, ინდაურის ფრთებით განყობილი თვითნაკეთი ისრების სროლით დაიწყო ოლიმპოსკენ მიმავალი გზა და სულ მალე ქუთაისში გამართულ თავის პირველსავე შეჯიბრებაზე, საქართველოს ჩემპიონატში გაიმარჯვა. იმ ჩემპიონატის შემდეგ შეგირდსაც და აღმზრდელსაც სულ სხვა თვალთ დაუწყეს ცქერა, ინსტიტუტის რექტორმა კი ეს ყოველივე შეუქო მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონს და ნამდვილი ისრებიც უყიდა. ამით ნახალისებულმა ქეთევანმა უფრო აქ-

ტიურად დაიწყო ვარჯიში, ძმები კი ამას ალმაცერად უყურებდნენ, სწავლაში ხელი შეგეშლებათ. ამიტომ დას პირობა დაადებინეს, თუ სწავლაში კვლავაც იბეჯითებ, მაშინ სერიოზულადაც ივარჯიშეო. ძმები ქეთევანის ნება-სურვილს უფრო იმიტომ დაჰყვნენ, რომ ვარჯიში ფიზკულტურის გაკვეთილების ხარჯზე ტარდებოდა, თან იმედი ჰქონდათ, რომ ეს გატაცება თანდათან გადაუვლიდა. საბედნიეროდ, ძმები შეცდნენ, ქეთევანმა კი პირველი კურსიც ფრიადებზე დახურა და ყოველი მომდევნოც ასევე ჩაამთავრა.

მეორეკურსელი ქეთევანი, რამდენიმეთვიანი ვარჯიშის შემდეგ პირველად გასცდა საქართველოს და 1968 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში გამოვიდა.

— ლვოვში გამართულ ამ შეჯიბრებაზე, ბუნებრივია, მოკრძალებული შედეგი მქონდა, — იხსენებს ქეთევანი, — იქ პირველად ვნახე ნამდვილი მშვილდოსნები, მათ შორის ლვოველი ვიქტორ სიდორიუკი, რომელმაც იმ წელიწადს მეხუთედ მოიპოვა ოქროს მედალი და მისი თანაგუნდელი ნონა კოზინა, ვინც ორგზის ჩემპიონობის მერე დაკარგული პირველობა კვლავ დაიბრუნა. მათ და სხვებსაც, საბჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონებს, ასევე ლვოველ იური ტიმირგაზინს, ტალინელ ალა ვერნიკს, ყაზანელ თამარა ლიტეროვას რიდითა და მონინებით შევცქეროდი. მერე კოზინას სამახსოვრო სურათის გადაღება ვთხოვეთ. ისიც სიამოვნებით დაგვთანხმდა. მერე იმ ფოტოს ყველას ვაჩვენებდი, ნახეთ, ვისთან ერთად ვართ ამ სურათზე-მეთქი. კოზინა ღმერთქალად წარმომედგინა...

მაგრამ რა იცოდა მაშინ ქეთევანმა, რომ სულ მალე სხვათათვის თავად გახდებოდა სათაყვანო სპორტსმენი, კერპი და ღმერთქალი, რომ მის ავტოგრაფებზე ნადირობა გაჩაღდებოდა. იქამდე არც ისე გრძელი გზა ედო. სხვები თუ დაოსტატებას წლებს ანდომებდნენ, ქეთევანი, იმ ცნობილი ქართული ზღაპრისა არ იყოს, ყოველდღიურად იზრდებოდა.

საკავშირო სარბიელზე პირველ წარმატებას იმავე 1968 წელს მიაღწია. როსტოვში გამართულ საბჭოთა კავშირის სტუდენტთა უნივერსია-



თანაკურსელებთან  
ერთად





მოსკოვის ოლიმპიადაზე  
ქეთევან ლოსაბერიძემ  
ოქროს მედალი მოიპოვა,  
30 მეტრიდან სროლაში  
კი ოლიმპიური რეკორდი  
დაამყარა. 1980 წელი

დაზე მესამე ადგილი დაიმსახურა, მისი მწვრთნელი კი სიხარულით ხელს იფშვნიტდა, ამ გოგოსგან დიდი სპორტსმენი დადგებო.

— იმ წელიწადს ჯაშიაშვილი ძალზე გაახარა მისმა კიდევ ერთმა აღსაზრდელმა, ცაგერელმა გოგონამ. მერი ერქვა, რომლის გვარს, სამნუხაროდ, ველარ ვიხსენებ, — გვიამბობს ქეთევანი, — ისიც ქუთაისში სწავლობდა და მშვილდოსნობაში ვარჯიშობდა, მაგრამ, ეტყობა, ცხენით ჯირითიც ემარჯვებოდა, რადგან პირველი კურსის დამთავრების მერე არდადეგებზე სოფელში რომ წავიდა, იქ ვაჟებთან ერთად ყაბახში გამოსცადა თავი და ყველას აჯობა. სიტყვამ მოიტანა და საქართველოში ყაბახი მგონი მშვილდოსნობაზე უფრო პოპულარული იყო. სოფლებში გამართული სპორტული ზეიმები უყაბახოდ არ ჩაივლიდა. პოპულარობით ყაბახი მხოლოდ ქართულ ჭიდაობას თუ ჩამორჩებოდა, ზოგან კი სულაც პირველი იყო. არადა, ყაბახი საკმაოდ რთული სახეობაა, გაჭენებული ცხენიდან ჭოკის კენწეროზე შემოდგმული ვერცხლის თასის მშვილდისრით ჩამოგდება ქალებს კი არა, ბევრ კაცს არ შეეძლო. სამნუხაროდ, მე ცხენზე ჯდომა არ ვიცი. სოფელში ცხენი კი გვყავდა და ბავშვობაში მსვამდნენ კიდევ, მაგრამ დამოუკიდებლად არ მიჭენებია. მარტო თუ ვიყავი, ცხენს ახლოსაც კი არ ვეკარებოდი და დღესაც მეშინია. ამიტომ ყაბახში თავი არც არასოდეს გამომიცდია. სარზე წამოცმულ გოგრებზე კი გიყვარდეთ, ისარი არ ამიცდენია.

ქეთევანთან სპორტის ქართულ ეროვნულ სახეობებზე რომ ვსაუბრობთ, მახსენდება რომელიღაც გაზეთში დასტამებული ერთი რეპორტაჟი, რომელიც ომალოში სპორტული ზეიმით დაგვირგვინებულ სახალხო დღესასწაულზე მოგვითხრობდა. იმ რეპორტაჟში ნაამბობი იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის ჩუბინობაზე. იმ პუბლიკაციის მიხედვით, სპორტული ზეიმისას შევარდნაძისთვის მშვილდ-ისარი მიურთმევიათ და მიზანში სროლა უთხოვიათ. იმასაც მშვილდი მოუზიდა და ისარი პირდაპირ დროშის ტარის ცენტრში გაურჭვია, რასაც დიდი



აღტაცება, გაცემა და ოვაციები გამოუწვევია. იქვე ეწერა, მოარტყამდა, აბა, რას იზამდა, როცა ამხანაგ ედუარდ შევარდნაძეს თვით ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონ-რეკორდსმენი ქეთევან ლოსაბერიძე ავარჯიშებდაო.

— გაზეთში ეს ამბავი მეც წავიკითხე, მაგრამ ცეკას მდივნის მშვილდოსნობაში ვარჯიში არც მე მომსვლია აზრად და არც თავად შევარდნაძეს. ეს, უბრალოდ, ხუმრობა იყო, თუმცა გაზეთში აღწერილი მისი ჩუბინობის ამბავი მართლაც ისეთი აღმოჩნდა, როგორც რეპორტაჟში აღწერეს, ოღონდ შევარდნაძემ ისარი იმ აღმის ტარს, რომლითაც ტერიტორია იყო მონიშნული, შემთხვევით მოარტყა, მაშინ, როცა სულ სხვაგან უმიზნებდა. ერთხელაც, როცა შევარდნაძემ ღირსების ორდენით დაჯილდოების ცერემონიაზე მიმინვია, იმ გაზეთიდან ამონაჭერი მივართვი. მანაც წაიკითხა და ჩემი „მწვრთნელობის“ ამბავი რომ გაიგო, გულიანად იცინა, მერე კი იმ რეპორტაჟის ქსეროასლი თავისი არქივისთვის გადააღებინა.

ახლა ომალოდან გადავინაცვლოთ შუაგულ ევროპაში, სადაც ქეთევან ლოსაბერიძის საერთაშორისო დებიუტი შედგა და დიდი სპორტული კარიერაც დაიწყო.

## **სტრასბურგი, ლუქსემბურგი, მიუნხენი**

ეს მოხდა 1971 წელს სტრასბურგში. ქეთევანი იქ წაიყვანეს, როგორც ყველაზე ახალგაზრდა და პერსპექტიული სპორტსმენი. რა თქმა უნდა, ძალიან ლელავდა და ვერც საპრიზო ადგილი მოიპოვა, მაგრამ სულ მალე ჟენევაში საერთაშორისო ტურნირი მოიგო და 1972 წელს ლუქსემბურგში გასამართ ევროპის ჩემპიონატისთვის საბჭოთა გუნდშიც მოხვდა. მოხვდა და აბსოლუტური ჩემპიონობაც მოიპოვა.

„პირველი ისრის გატყორცნისთანავე ვიგრძენი, რომ გადასარევე ფორმაში ვიყავი და პირველობას ვერავინ შემეცილებოდა. შვეიცარიუ-





ლი საათივით ამეწყო საქმე და ათიანებში ისარს ისარში ვაჯენდი. 70 მეტრზე სროლაში მსოფლიოს რეკორდით დავწინაურდი და ახლა 60-მეტრიან დისტანციაზე გადავინაცვლეთ. ლიდერობას იქაც არ ვთმობდი. მოულოდნელად ცა ტყვიისფერმა ღრუბლებმა დაფარა და კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა. შეჯიბრება მეორე დღისთვის გადაიტანეს. ამან ძალიან შემაშინა, რადგან, ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევაში ხშირად ყველაფერი თავდაყირა დგება ხოლმე. ვფიქრობდი, დღეს ძალიან მიმართლებს და ხვალ რაღა იქნება-მეთქი. თურმე, სანერვიულო არაფერი მქონია. სროლები ძველებურად წამივიდა...”

ქეთევან ლოსაბერიძემ ასე მოიპოვა თავისი პირველი უდიდესი წარმატება. მაშინ, ლუქსემბურგში ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონობასთან ერთად გუნდური ოქროც მოიგო და 60 მეტრზე სროლაში ხელს ერთი ბრინჯაოც გამოაყოლა. 70-მეტრიდან სროლაში კი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. თუმცა ეს მისთვის პირველი არ იყო. მსოფლიოს რეკორდით გამონვეული სიხარული პირველად 1971 წელს ლვოვში, საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში განიცადა. იქ მეორე ადგილი დაიკავა, რეკორდი კი 50-მეტრიან დისტანციაზე დაამყარა. მომდევნო ოლიმპიურ წელს საკავშირო თასიც მოიგო და უკლებლივ ყველა შეჯიბრებაზე გაიმარჯვა, ან მეორე-მესამე ადგილზე გავიდა. ამიტომ, ოლიმპიურ ნაკრებში უყოყმანოდ შეიყვანეს.

მიუნხენის ოლიმპიურ სარბიელზე, მიუხედავად იმისა, რომ მშვილდისარი ხელში პირველად ხუთი წლის წინათ დაიკავა, მისი იმედი ჰქონდათ და მედალსაც ელოდნენ. მართლაც, სულ ახლოს იყო წარმატებასთან, მაგრამ ბოლოს ნერვიულობა დაიწყო. განსაკუთრებით მას მერე, როცა ერთი ისარი „ცხრიანს“ და „ათიანს“ შორის წრეს მოხვდა.

— ასეთ შემთხვევაში, როცა ხაზი ზიანდება, გადანყვეტილება სპორტსმენის სასარგებლოდ გამოაქვთ, მაგრამ ცხრიანად ჩამითვალეს. ამაზე მწვრთნელმა დამიცაცხანა და უფრო გავწერვილდი. საბოლოოდ, ოქროც დავკარგე, ვერცხლიც და ბრინჯაოც. მეოთხე ადგილზე გასულმა ის

ერთი ქულა სწორედ გაპჩენკოსთან წავაგე. ლოსაბერიძემ ოქრო დაკარგა, ვერცხლი დათმო, ბრინჯაო კი გააჩუქაო — ნახევრადხუმრობით ამბობდა შეცბუნებული საბჭოთა ნაკრების მწვრთნელი არსენ ბალოვი. ეს მარცხი საშინლად განვიცადე. იქვე ავტირდი და ავზლუქუნდი. ყველანი გარს შემომეხვივნენ: მწვრთნელებიც, მეტოქეებიც, თანაგუნდელებიც და ამაოდ მამშვიდებდნენ და მანყნარებდნენ. მეუბნებოდნენ, ყველაზე ახალგაზრდა ხარ, მალე გამოცდილებაც მოვა, ყველაფერი წინ გაქვსო... მაშინ ამერიკელმა დორინ უილბერიმ გამარჯვა. 35 წლისა იყო, მეორე პრიზიორი პოლონელი ირენა შიდლოვსკა — 52-ის, გაპჩენკო 34-ის, მე კი მხოლოდ 22 წლისა ვიყავი და გამოუცდელიც, მაგრამ ეს ჩემთვის ნუგეში სულაც არ იყო.

„ვინც გამოცდილები იყვნენ, ნერვებიც მაგარი აღმოაჩნდათ... ქეთევანმა ჯერ ამერიკელი დორინ უილბერი გაუშვა წინ, მერე პოლონელი ირენა შიდლოვსკა და ბოლოს ჩვენი ემა გაპჩენკო. ქეთევანს ბრინჯაოს მოსაპოვებლად მხოლოდ 1 ქულა დააკლდა“, — წერდა გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“.

— მიუნხენის ოლიმპიური თამაშები უდიდესი განზილება და მწარე გამოცდილება იყო. მომდევნო წელს ალმა-ათაში პირველად გავხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. იყო სხვა წარმატებებიც, მაგრამ 1973 წლის მარტში გავთხოვდი. მეუღლე ჩემს ხშირ მოგზაურობებს ვერ ურიგდებოდა. აბა, რომელი ქართველი კაცი მოითმენს ცოლის უცხოეთში ამდენ სიარულს. მართალია, იმ შეჯიბრებებზე მარტო არასოდეს ვყოფილვარ, ხან ძმა მახლდა, ხან რძალი, მაგრამ მეუღლე მაინც ვერა და ვერ ურიგდებოდა ჩემს „გასტროლებს“, მით უმეტეს, რომ გათხოვების მერე ხანმოკლე წარუმატებლობის დრო დამიდგა. შეჯიბრებაზე ყოველი გამგზავრების წინა საღამოს შინ ერთი პანაშვიდი გვქონდა. მერე წარმატებები ისევ რომ მოვიდა, ცოტა გული მოუღბა, მაგრამ ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა გამარჯვებით დაბრუნებულს აეროპორტში თაიგულით ხელდამშვენებული დამხვდა.

ჩემი მეუღლე ზორბა კაცია, მაგრამ ხელში იმდენი ყვავილი ჩაებლუჯა, აღარ ჩანდა. მაშინ ვიფიქრე, მეშველა, მშვილდოსნობას აღარ დამიშლის-მეთქი. თანაც იცოდა, ოლიმპიურ მედალზე ვოცნებობდი, მაგრამ მაინც ბუზლუნებდა, ოჯახზე სულ არ ფიქრობო. და მაშინ, როცა ჩემი სპორტული ფორმის პიკზე ვიყავი, როცა შეჯიბრებებზე ქალები კი არა, კაცებიც ვეღარ მიგებდნენ, საკავშირო სპორტკომიტეტში განცხადება დავწერე: გთხოვთ, ოჯახური მდგომარეობის გამო ნაკრებიდან გამათავისუფლოთ-მეთქი.

გორდინკო, ვინც კომიტეტში მშვილდოსნობას განაგებდა, გადაი-რია — ხალხი ნაკრებში მოსახვედრად თავს იკლავს, ლოსაბერიძემ კი ნა-ხეთ, რა განცხადება დანერა, მსგავსი რამ არც კი მსმენიაო. მერე ის გან-ცხადება კედელზე გააკრა და ყველას აჩვენებდა.

არადა, მონრეალის ოლიმპიური თამაშები კარს იყო მომდგარი, მაგ-რამ ყველა მედალი უფერულდება და ცხოვრებაც აზრს კარგავს, თუ ოჯახში ბავშვი არ იზრდება, შვილს კი არა და არ მადლევდა ღმერთი.

ამიტომაც ქეთევანმა იფიქრა, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტა-კიადასა და მსოფლიოს ჩემპიონატში გამოვალ, მერე კი მშვილდოსნობას გამოვეთხოვებო.

სპარტაკიადა, აბა, მსოფლიოს ჩემპიონატთან ახლოს რას მივიდოდა, მაგრამ საბჭოთა კავშირში ამ „სახალხო“ შეჯიბრებას უდიდეს ყურადღე-ბას აქცევდნენ. სპარტაკიადები ლაკმუსის ქალაღღივით ავლენდა ყოფილ „მოძმე რესპუბლიკებში“ სპორტის განვითარების დონეს. ის შეჯიბრებე-ბი ამ რესპუბლიკებისთვის ლამის ისეთივე მნიშვნელოვანი და პოპულა-რული იყო, როგორც დანარჩენი მსოფლიოსთვის ოლიმპიური თამაშები. მისთვის თადარიგის პერიოდში იქმნებოდა ნაირგვარი შტაბები, სასპარ-ტაკიადო მზადების საკითხებზე პარტიულ კრებებს ინვევდნენ, სპარტა-კიადებზე წარმატებულებს ხოტბას ასხამდნენ, ხოლო დამარცხებულთა უფროსობას, როგორც იტყვიან, ტყავს აძრობდნენ.

მშვილდოსანთა სასპარტაკიადო ისტორია მას მერე დაიწყო, რაც მი-უნხენის ოლიმპიური თამაშებისთვის ამ სახეობის ხუთი რგოლით დამ-



შვენებაც გადაწყვიტეს. ამიტომაც ოლიმპიური ბატალიებისთვის უკეთ მოსამზადებლად ეს სახეობა 1971 წელს გამართული სპარტაკიადის პროგრამაში შეიტანეს და მას მერე, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, მისი შემადგენელი ნაწილი იყო. მშვილდოსანთა სასპარტაკიადო დებიუტი საქართველოს მოისართა ნაკრებისთვის მეოთხე გუნდური ადგილით დასრულდა. ქეთევან ლოსაბერიძეც, რომელიც საკავშირო სარბიელზე თავის პირველ ნაბიჯებს დგამდა, მეოთხე იყო, ჩემპიონობა კი მისმა თანაგუნდელმა ლიუბოვ ასატუროვამ მოიპოვა.

ასატუროვა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი იყო. სპარტაკიადაზე მან მრავალჭიდშიც გაიმარჯვა, 60 მეტრზე სროლაშიც და 30-მეტრიან დისტანციაზეც, სადაც საბჭოთა კავშირის რეკორდიც დაამყარა. ამ წარმატებებისთვის ასატუროვას (შემდგომში ასატუროვა-სორდია) საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭეს და იგი ქეთევან ლოსაბერიძესთან ერთად გახდა საქართველოს პირველი მშვილდოსანი, რომელსაც ამგვარი პატივი ნილად ხვდა.

საქართველოს და საერთოდ, საბჭოთა კავშირის მშვილდოსანთა ცის კაბადონზე მეტეორივით შემოჭრილი ლიუბოვ ასატუროვას ვარსკვლავი, სამწუხაროდ, ისევე მოულოდნელად გაქრა, როგორც გამოჩნდა. სამაგიეროდ, ქეთევან ლოსაბერიძისა აკაშკაშდა. მეხუთე სპარტაკიადიდან ორი წლის მერე, მშვილდოსნობასთან ძალზე ნაადრევ გამოთხოვებას რომ ფიქრობდა, იმ დროს ქეთევანი უკვე ევროპის ჩემპიონი იყო მრავალჭიდშიც, 70 მეტრზე სროლაშიც და გუნდურ პირველობაშიც. მისი მედლების კოლექციაში იყო ევროპული ბრინჯაოც (60 მეტრზე) და მსოფლიოს ჩემპიონის გუნდური ოქროც, მაგრამ რაკი პირად პირველობაში ამგვარ შედეგებს მოისაკლისებდა, ამიტომაც თვალი ისევ მსოფლიოს სარბიელისკენ ეჭირა. არც სპარტაკიადას ეღალატებოდა. ეგ კი არა, გაჭირვების ჟამს ასეთი შეჯიბრებისთვის სპორტულ სარბიელთან გამოთხოვებულ ვეტერანებსაც კი ზოგჯერ ისევ ასპარეზზე უხმობდნენ. მოვლენებს თუ

გავუსწრებთ, მომდევნო, VII სპარტაკიადისთვის ასე დაემართა ქეთევან ლოსაბერიძესაც, რომელიც თავისი მშვილდ-ისრით ისევ სასროლეთზე დააბრუნეს. მაგრამ მაშინ, 1975 წელს იგი ჯერ კიდევ „ცეცხლის ხაზზე“ იყო და ოჯახური პირობების გამო მასთან განშორებაზე ფიქრობდა. ასე იყო თუ ისე, სპარტაკიადისა და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ქეთევანი ბრწყინვალედ მოემზადა. და მაინც, სპარტაკიადაზე ქეთევანმა მხოლოდ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ჩემპიონობაზე მეოცნებე სპორტსმენისთვის, რომელიც ვარსკვლავებს ეთამაშებოდა, ბრინჯაო არც ისე სასიხარულო იყო. ეგ კი არა, ასპარეზობა მეტად უფერულად დაიწყო. სასროლეთზე ისეთი ქარი უბერავდა, რომელსაც ალლო ვერა და ვერ აულო. იმ დღეს 70 მეტრზე ისროდნენ და ქეთევანი მხოლოდ 25-ე აღმოჩნდა, ლიდერებთან კი 30 ქულაზე მეტით აგებდა. მაგრამ სულით არ გატეხილა, როგორც იტყვიან, თავი ხელში აიყვანა, ნერვები დაიოკა, ქარიც დაიმორჩილა და მეორე დღიდან სატურნირო მდგომარეობა თანდათან, მეთოდურად გამოასწორა. ყოველ გასროლაზე ისარს ისარში აჯენდა და ლიდერებს სწრაფად უახლოვდებოდა. საბოლოოდ, იმდენი მოახერხა, რომ მესამე ადგილზე გავიდა, რისთვისაც ბრინჯაოს მედალთან ერთად „გამარჯვებისკენ სწრაფვისთვის“ დანესე-ბული სპეციალური პრიზითაც დააჯილდოეს.

აი, მსოფლიოს ჩემპიონატი კი, პოლიტიკური ამბების გამო და პროტესტის ნიშნად, საბჭოელებმა ხმაურით დატოვეს. ქეთევანი ამ ფორუმზე, ბერლინში, საბჭოთა კავშირის ნაკრების სხვა წევრებთან ერთად ჩავიდა, მაგრამ რაკი საქმეში პოლიტიკა ჩაერია, რა გაენწყობოდა. როდებიო, აპარტიდო, უსამართლობაო... და რაკი ეს ყოველივე ჩემპიონატის მონაწილე როდებიოას უკავშირდებოდა, საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობამ, მოსკოვიდან მიღებული მითითებისამებრ, შეჯიბრებაზე უარი თქვა და იქიდან გუდა-ნაბადი აიკრა. სამაგიეროდ, მერე ნაკრები, ასე ვთქვათ, „საკომპენსაციოდ“, იტალიაში ამბროზიანოს ტურნირზე გაგზავნეს.

## ვერცხლის ყელსაბამი

ამბროზიანოს ტურნირი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ტარდება, ერთადერთი გამონაკლისია, სადაც ქალები, ისე როგორც აფროსნობასა და ცხენოსნობაში, გამარჯვებისთვის კაცების პირისპირ იბრძვიან. მანამდე ერთადერთი შეჯიბრება, სადაც ქალ-ვაჟნი გამარჯვებას ერთმანეთს ეცილებოდნენ, იყო მსოფლიოს პირველი და მეორე ჩემპიონატები, რომლებიც 1931-32 წლებში ლვოვსა და ვარშავაში გაიმართა. მაშინ ყველას აჯობა პოლონელმა სავიცკიმ, ქალთაგან კი საუკეთესო იყო მისი თანაგუნდელი იანისა სპიხაევა-კურკოვსკა. მართალია, იმ წლებში ქალ-ვაჟნი ერთმანეთს ეპაექრებოდნენ, მაგრამ ბოლოს გამარჯვებულები მაინც ცალ-ცალკე გამოავლინეს. აი, ამბროზიანოს ტურნირზე კი ქალებს ასეთი შეღავათი არ აქვთ.

— ამბროზიანოს ტურნირზე გამარჯვებულისთვის გარდამავალი პრიზი — „ვერცხლის ყელსაბამი“ იყო დაწესებული. ვინც ამ „ვერცხლის ყელსაბამს“ სამჯერ მოიგებდა, სამუდამო მფლობელობაში გადაეცემოდა. შეჯიბრების მონაწილეთა შორის იყო ერთადერთი სპორტსმენი, გვარად სპიგარელი, რომელსაც ეს ყელსაბამი ორჯერ მოეგო და მისი მესამედ დასაკუთრების იმედიც ჰქონდა. სხვათა შორის, ეს იტალიელი კაცი ახლა მშვილდ-ისრის მწარმოებელი ფირმის მეპატრონეა, რომელიც მისსავე გვარს ატარებს — „სპიგარელი“. მაშინ სპიგარელი ძალიან გავანზილვე, რადგან არათუ ქალებში, ვაჟთა შორისაც საუკეთესო შედეგი აღმომაჩნდა. სპიგარელი გაოგნებული იყო. ყელსაბამის დაკარგვა ვერაფრით წარმოედგინა, მით უმეტეს, ქალთან დამარცხებას არაფრით ელოდა. ასე იყო თუ ისე, მსოფლიოში პირველი ქალი გავხდი, ვინც ამბროზიანოს ტურნირზე ვაჟებსაც სძლია. ამ ამბის აღსანიშნავად მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა რუსკონიმ მთელი საბჭოთა დელეგაცია შინ ვახშამზე მიგვინვია და ტურნირის მთავარი ჯილდო, ის ულამაზესი ყელსაბამი შამპანურების ბათქა-ბუთქითა და ტაშის გრიალში გადმომცა.

ვერცხლის ყელსაბამის ამბავს რომ მიაბობს, ბუნებრივად მეზადება კითხვა: რა იქნება, აფროსნებივით და ცხენოსნებივით, მშვილდოსანი ქალები და ვაჟებიც სხვა შეჯიბრებებშიც ერთმანეთს რომ დაუპირისპირდნენ-მეთქი.

— დაიჩაგრებიან ქალები. შემდგომში ამბროზიანოს ტურნირი ქალთაგან მხოლოდ ჩემმა თანაგუნდელმა, მეტოქემ და მეგობარმა ნატალია ბუტუზოვამ მოიგო. ამ შეჯიბრებაზე მე კიდევ ორჯერ გამოვედი 1979 და 1980 წლებში. ორივეჯერ ქალებში ყველას ვაჯობე, საერთო ჩათვლაში კი მეორე ვიყავი. ბოლო შეჯიბრებაზე 1313 ქულა მოვაგროვე, ასეთი შედეგი დღესაც კი დიდ მიღწევად ითვლება. და მაინც, ეს ყველაფერი გამონაკლისია. ამ საქმეში ევა ადამს ვერ გაუთანაბრდება. ქალს არ ეყოფა მშვილდის მოჭიმვის სიგრძე და ძალა, რაც ისრის გატყორცნის სიმძლავრეს განაპირობებს. მძლავრად გატყორცნილი ისარი ნაკლებად რეაგირებს გარემოზე, ბუნებრივ პირობებზე. ამიტომაც უმჯობესია ყველაფერი ძველებურად დარჩეს, ქალებს ვაჟებთან საპაექროდ ამბროზიანოს ტურნირიც ეყოფათ.

ასე იყო თუ ისე, ამბროზიანოს ტურნირში გამარჯვების მერე შინ დაბრუნებულმა, მშვილდ-ისარი კარადის უკან გადავმალე, მერე კი სულაც სხვას ვათხოვე, ჩემი გულიც თან გავაყოლე და ოლიმპიურ მედალზე ფიქრსაც გამოვეთხოვე. ბოლოს, 1978 წელს სასპარტაკიადოდ ჩემს ქმარს შეუჩნდნენ, იქნებ ცოლი როგორმე დაიყოლიო და მშვილდოსნობაში დააბრუნო, ვაკეში კი ბინას მოგცემთო. იმანაც შორიდან მომიარა და მეც მეტი რალა მინდოდა. სიხარულით ცას ვენიე და ის განათხოვრებული მშვილდ-ისარი უკან მოვიტანე.

და ქეთევანი ფანტასტიკური ტრიუმფით დაუბრუნდა მშვილდოსნობას. უმედლოდ არსად რჩებოდა, მსოფლიოს რეკორდებს ერთიმეორის მიყოლებით ამყარებდა. მისი მეტოქეები და საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელები გაკვირვებულები ეკითხებოდნენ, შენ ჩუმ-ჩუმად იატაკვეშეთში ხომ არ ვარჯიშობდიო.





თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი.  
ზოგადი მათემატიკის  
კურსს კითხულობს  
ოლიმპიური ჩემპიონი  
ქეთევან ლოსაბერიძე

ერთი სიტყვით, ოლიმპიურ ნაკრებში კვლავ შეიყვანეს, თუმცა მანამდე ქეთევანზე აღარავინ ფიქრობდა და ახალგაზრდა თაობას შესცქეროდნენ.

მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის ნაკრების ორ ადგილზე ოთხი უმთავრესი პრეტენდენტი იყო: ბუტუზოვა, როგოვა, რუსტამოვა და ლოსაბერიძე. ბოლოს ორნი დარჩნენ, ქეთევანი და ბუტუზოვა, მაგრამ როგორც კი ეს ოფიციალურად ითქვა, პოლონეთში საერთაშორისო ტურნირზე როგოვამ გაიმარჯვა, თანაც 30-მეტრიან დისტანციაზე მსოფლიოს რეკორდი დაამყარა.

როგოვა უზბეკეთიდან იყო და მისი ამ წარმატების მერე რესპუბლიკის მესვეურები მიდგნენ, მოდგნენ და იმდენი ქნეს, რომ ოლიმპიადის დაწყებამდე ნოვოგორსკში ლოსაბერიძესა და როგოვას შორის დამატებითი ოთხდღიანი შეჯიბრება მოაწყვეს.

— ყველაფერი ზუსტად ისე იყო, როგორც ოლიმპიადაზე უნდა ყოფილიყო. სარბიელზე ყველანი გამოიყვანეს, ოღონდ სხვებს ისე, საკონტროლო სროლები ჰქონდათ და შეჯიბრების სრულ ილუზიას ქმნიდნენ.

დაიწყო შეჯიბრება და ისარს ისარში ვარჯობ...

ამასთან დაკავშირებით მერე, ოლიმპიური ჩემპიონი რომ გავხდი, „სოვეტსკი სპორტი“ წერდა: „...ლოსაბერიძე თუ როგოვა... დავა, როგორც იტყვიან, „ოჯახურია“, მაგრამ ვფიქრობთ, ამის მოყოლა არ ღირს, იმდენად, რამდენადაც კარგად ჩანს ოლიმპიური ჩემპიონის ხასიათი... „ჯერ მენყინა, რატომ არ მენდობიან-მეთქი. მერე გავბრაზდი, ბოლოს კი დავმშვიდდი. რადგან ვილაცა თხოულობს, დაუმტკიცე, რომ ნამდვილად ძლიერი ხარ ორთაბრძოლაში. საბედნიეროდ, არც ქეთევანი შემცდარა თავის თავში და არც მწვრთნელები ქეთევანში...“ მაგრამ ეს მერე იყო.

მაშინ კი, როგოვასთან ბრძოლის მესამე დღეს, მან მოულოდნელად მშვილდ-ისარი დაუშვა, დადო და მითხრა: ბრძოლა შევწყვიტოთ, შენ ჩემზე ძლიერი ხარ, გუნდშიც შენ უნდა იყოო. თან მომიბოდიშა, ეს შეჯიბრება მე სულაც არ მინდოდა, მაგრამ მაიძულეს, გამოვსულიყავიო. ჩვენ

მეგობრები ვიყავით და ეს ამბავი გულში ხინჯად არ დაგვრჩენია, თუმცა იმ შეჯიბრებაზე ისეთ აზარტში ვიყავი, რომ როგოვას ბრძოლის გაგრძელება ვთხოვე — თავადაც მაინტერესებს, საბოლოოდ რა შედეგს ვაჩვენებ-მეთქი. საბოლოოდ კი მართლაც ძალიან მაღალი შედეგი ვაჩვენე — 2569 ქულა.

ამდენ ქულას უშუალოდ ოლიმპიადაზე ვეღარ მოვუყარე თავი, თუმცა რაც შევძელი, გამარჯვებისთვის სრულიად საკმარისი იყო. მეტიც, ვაჟთა შორის ფინელ ჩემპიონ ტომი ჰოიკოლაინენსაც კი ვაჯობე, მაგრამ შეჯიბრების დაწყებამდე 18 ქვეყნის 29 მშვილდოსან ქალთაგან პირველობას ტაშკენტელ ნატალია ბუტუზოვას უწინასწარმეტყველებდნენ.

რა თქმა უნდა, გამარჯვება ძალიან მინდოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ მედალს მოვიპოვებდი, ოღონდ ბოლომდე არ მჯეროდა, ოქროს თუ ნაღდად შევწვდებოდი. მაგრამ როგოვასთან დამატებითა „საქმის გარჩევამ“ ჩემზე დოპინგით იმოქმედა. იმ ანდაზისა არ იყოს, ხარმა ხარს ურქინა და უკეთეს ბაგაზე მიაგდო, მეც ასე დამემართა. შეჯიბრება ძალიან მობილიზებულმა და შემართებულმა დავიწყე.

ლოსაბერიძე და ბუტუზოვა აბსოლუტურად ერთნაირ პირობებში გამოდიოდნენ. ერთ ცვლაში მოხვდნენ და ერთადვე ისროდნენ. „ერთი ეგ იყო, რომ მე პირველ ფარზე ვისროდი, ბუტუზოვა — მეორეზე. ცრუმორწმუნე არ ვარ, მაგრამ რაკი პირველი ფარი შემხვდა, ვიფიქრე, შეჯიბრებაშიც პირველი მე ვიქნები-მეთქი, — გაიხსენა მომავალმა ჩემპიონმა და მართლაც ქეთევანი დანიანურდა, მაგრამ ბუტუზოვა ფეხდაფეხ მისდევდა. როგორც იტყვიან, ზურგს უკან მეტოქის სუნთქვას გრძნობდა. შეჯიბრების მეოთხე დღეს გაავდრდა.

ისევე „სოვეტსკი სპორტს“ მოვიშველიებ:

„ქარი განუწყვეტლივ ზუზუნებდა. მოულოდნელად კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა. სროლა შეუძლებელი იყო, რომ არ ესროლა, არც ის შეიძლებოდა. სამი ისრის გასროლისთვის 2,5 წუთია განკუთვნილი... ამ თავსხმაში ბევრნი შედრკნენ, ფინიშის წინ ბორის ისაჩენკომ ოქროს მედალი





დაკარგა. ქეთევან ლოსაბერიძე კი კაცებზე ზუსტად ისროდა, 30-დან 29 ქულა... წუთიც და თავიდან ფეხებამდე განუწულ, გათოშილ ქეთევანს მეგობრები ოლიმპიურ ჩემპიონობას ულოცავდნენ...”

ქეთევან ლოსაბერიძე ასე გახდა მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, 30 მეტრზე სროლაში კი ოლიმპიური რეკორდიც დაამყარა. ბოლო ისრის გასროლის მერე მივარდნენ ჟურნალისტები, ფოტოკორესპონდენტები, კინოოპერატორები... ეს ალყა ძლივს გაარღვიეს საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ დავით პერტენავამ და მისმა მოადგილემ, ტყვიის სროლაში მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენმა და ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა შოთა ქველიაშვილმა.

— სასპარტაკიადოდ დაპირებული ოროთახიანი ბინა ვაკეში ჯერ მიღებული არ მქონდა, ამიტომ პერტენავას ნახევრადხუმრობით ვუთხარი, ოლიმპიური ოქროსთვის ერთ ოთახს ხომ არ დამიმატებთ-მეთქი. აცხონოს ღმერთმა, დამპირდა და პირობა შეასრულა კიდეც. თბილისის უნივერსიტეტში მათემატიკის კათედრის გამგე პოლიკარპე ზერაკია კი, ვისთანაც ვმუშაობდი, მერე ხუმრობდა: ქეთევანს გლდანიდან ვაკეში გადასვლა უნდოდა, იქ ბინას უმიზნებდა და მაგი მოსკოვში მიზანს რავა ააცდენდაო.

## თანაპარსკვლავები

ქეთევან ლოსაბერიძეს მოსკოვურ ტრიუმფამდე პატივი და დიდება არ აკლდა, მაგრამ ოლიმპიური ჩემპიონობის მერე ჩუბინობაში ეს უბადლო ქალბატონი ერთიორად პოპულარული გახდა. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა რეფერენდუმის შედეგად, ქეთევანი რესპუბლიკის 1980 წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს. ამგვარი გამოკითხვა 1964 წლიდან ტარდება და ქეთევან ლოსაბერიძემდე ქალთაგან ასეთი პატივი მხოლოდ ჩვენს სახელგანთქმულ მოჭადრაკეებს — ნონა

*1980 წელს სპორტულმა ჟურნალისტებმა ქეთევან ლოსაბერიძე საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს*

გაფრინდაშვილს (1969, 1975), მაია ჩიბურდანიძესა (1978) და მოცურავე თინათინ ლეკვეიშვილს რგებიათ. ქეთევანი საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეულში ოთხჯერ იყო. აქედან პირველობამდე მას სულ ცოტა დააკლდა 1978 წელს, როცა უპირველესად მაია ჩიბურდანიძე მიიჩნიეს, რომელმაც იმ წელიწადს პირველად მოიპოვა მსოფლიოს საჭადრაკო გვირგვინი. მეორე ადგილზე მოჭიდავე ვახტანგ ბლაგიძე გავიდა, ვინც იმ წელიწადს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი გახდა, ხოლო სპორტში ტრიუმფალურად დაბრუნებული ქეთევან ლოსაბერიძე მესამე ადგილზე აღმოჩნდა.

— ეჰ, რა დრო იყო, რა გამარჯვებები! იმ წლის საუკეთესო ათეულის თანავარსკვლავედს რომ ვიხსენებ, ტანში ჟრუანტელი მივლის. ჩვენს გარდა ათეულში მოხვდნენ ფეხბურთელები მანუჩარ მაჩაიძე და რამაზ შენგელია, ნონა გაფრინდაშვილი, ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი, მოჭიდავე ლევან თედიაშვილი, მოკრივე ამირან ხიზანიშვილი და მძლეოსანი ვიქტორ სანევი.

სპორტის კაშკაშა ვარსკვლავთა არანაკლები ათეული გამოვიდა 1980 წელსაც, როცა საუკეთესოების სათავეში ქეთევან ლოსაბერიძე მოექცა, არადა მომდევნო ადგილებზე მასავით ოლიმპიური ჩემპიონები ვახტანგ ბლაგიძე და შოთა ხაბარელი გავიდნენ.

ქეთევან ლოსაბერიძე ჟურნალისტებში დღესაც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ვეტერანი სპორტსმენია. ჩვენი კოლეგები ახლაც ხშირად სტუმრობენ და საგაზეთოდ თუ სატელევიზიოდ ძველ ამბებს იხსენებენ. ამიტომაც ქალბატონ ქეთევანზე მრავალი პუბლიკაცია დაგროვდა გაზეთებში, ჟურნალებში თუ წიგნებში. ქეთევან ლოსაბერიძეს მიეძღვნა ძალზე საინტერესო დოკუმენტური ფილმები, მათ შორის გამორჩეულია მიხეილ ჭიაურელისა და იური მარტიროსოვის ნამუშევრები.

მარტიროსოვის ფილმში აღბეჭდილია ის ნადიმი, რომელიც მოსკოვის ოლიმპიური თამაშებიდან ოქროს მედლით დაბრუნებულ ქეთევან ლოსაბერიძეს ლენინის ორდენოსანმა მამამ სოფელში მოუწყო და ის დახ-

ვედრაც, ჩვენი დიდი ოლიმპიონიკის საპატივცემულოდ ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში რომ გაიმართა, ოღონდაც...

— ოლიმპიური ჩემპიონობის მერე თბილისელ იური მარტიროსოვს ჩემზე დოკუმენტური ფილმის გადაღება მოსკოვიდან დაუკვეთეს. ფილმში უნდა ყოფილიყო ის კადრებიც, რომლებიც მოსკოვიდან დაბრუნების მერე ჩემს საპატივცემულოდ მოწყობილ დახვედრას ასახავდა. მაგრამ დაკვეთამ დააგვიანა და ასეთი კინოკადრები არ არსებობდა. ამიტომ მამაჩემმა ხელახლა მთელი სოფელი დაპატიჟა, არც ქალაქელები დაივიწყა და „ნამდვილი“ ნადიმის შემადგენლობა თავიდან შეკრიბა. ყველაფერი ძველებურად გაიმეორეს და ფილმშიც ეს კადრები შევიდა...

ფილმში ვხედავთ შალვა ჯაშიაშვილსაც, რომელიც პოლკოვნიკის სამხრეებით დამშვენებულ სამხედრო ფორმაში გამონწყობილა, ხელში ფანდური დაუკავებია და ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქეთევან ლოსაბერიძის საპატივცემულოდ მოწყობილ შეხვედრაზე თავის უნიჭიერეს აღსაზრდელს უმღერის: „ქუთაისელო ქალაო, ძვირფასო ქეთევანაო, ჩვენს ინსტიტუტში გაზრდილო, მართლა ხარ საქებარაო“...

— ყურმოკვრით ვიცოდი, რომ ცხონებული შალვა ჯაშიაშვილი სამხედრო სამსახურისას იქაურ გუნდში მღეროდა, მაგრამ მე მისი ლილინიც კი არასოდეს გამეგონა. ვერც ის წარმომედგინა, თუ მშვილდის სიმის გარდა ჩონგურის სიმებისაც რამე გაეგებოდა, თანაც ლექსებსაც თხზავდა. ამიტომ იმ საღამოს ჩონგურის სიმებს რომ ჩამოჰკრა და ექსპრომტად თავისივე შეთხზული ჰიმნი მომიძღვნა, სახტად დავრჩი...

ქეთევან ლოსაბერიძის შორს გავარდნილმა სახელმა საქართველოში სპორტული მშვილდოსნობაც თანდათან პოპულარული გახადა და ამ სახეობით სულ მეტი მოზარდი დაინტერესდა. ამ ყოველივეს სათავე ჯერ კიდევ 1972 წლიდან დაედო, როცა ქეთევანი ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. 1972 წელს ქეთევან ლოსაბერიძესა და ლიუბოვ ასატუროვას, როგორც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებს, შეემატნენ

ამავე წოდების თბილისელი ცისანა სუმბაძე, ქუთაისელი გუგული რიჟა-მაძე, სამი წლის მერე ასეთივე წოდებები მიენიჭათ თბილისელებს ნუგ-ზარ მიქელაძესა და ვასილ ტროპინს.

ყოველივე ამან განაპირობა 1975 წელს თბილისში მშვილდოსანთა პირველი საერთაშორისო შეჯიბრების, „სამთა ტურნირის“ მასპინძლობა, რომელშიც მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი პოლონეთის ნაკრები, საბჭოთა კავშირის პროფკავშირების ასეთივე დონის გუნდი და საქართველოს წარმომადგენლები გამოდიოდნენ.

ამას მოჰყვა 1979 წელს თექვსმეტი ქვეყნის მშვილდოსნების მონაწილეობით თბილისში გამართული დიდი საერთაშორისო ტურნირი „გაზაფხულის ისრები“, რომელიც იმ წლებში ძალზე პოპულარული იყო და მას მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქი მასპინძლობდა.

სამწუხაროდ, გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში დატრიალებულმა ძმათამკვლელმა ომმა თუ გადატრიალებამ და განუკითხაობამ „გაზაფხულის ისრებთან“ ერთად თავიც დაგვავინცა. მშვილდოსნობის ბაზები გაცამტვერდა და მშვილდ-ისრებიც დაიკარგა. მშვილდოსნებს წაართვეს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონთან მდებარე სასროლეთიც.

— არადა, რა გეგმები მქონდა, რა ოცნებები. ვფიქრობდი, აი, შვილი რომ მეყოლება, პატარა მშვილდ-ისარს ვუყიდი, ხელს ჩავჭიდებ, სასროლეთზე ვატარებ და იქნებ ჩემზე მეტსაც მიაღწიოს-მეთქი. ამას ვფიქრობდი იტალიაში, გერმანიაში თუ სხვაგან, როცა ვხედავდი იქაურ მშვილდოსნებს, რომლებიც სასროლეთზე პატარა მშვილდ-ისრებით აღჭურვილ შვილებთან ერთად დადიოდნენ. ერთხელ გერმანიაში შეკრებაზე ყოფნისას იქაურმა მშვილდოსნებმა ტყეში, თავიანთ ბაზაზე წაგვიყვანეს. თან შვილები წამოიყვანეს პატარა მშვილდებით. დადგნენ თავიანთთვის ცეცხლის ხაზზე და ისროდნენ. იმ იდილიურ გარემოში ვუყურებდი ამგვარ სცენებს და ვფიქრობდი, ნეტა ამას ჩვენც თუ მოვესწრებით-მეთქი, მაგრამ საბავშვო მშვილდ-ისარი ახლა კი არა, მაშინ, 1981 წელსაც კი არ





გვქონდა. ჩემი თინიკოც 13-14 წლისა მაშინ გახდა, როცა თბილისში ლამით ვინ ჩივის, დღისითაც საშიში იყო ქუჩაში გამოსვლა. ასე რომ, ოცნება ოცნებად დამრჩა.

### **ოჯახური პორტრეტი ინტერიერის ფონზე**

ოლიმპიური ჩემპიონობიდან ორი წლის მერე დიდი ხნის ნანატრი შვილი შეეძინა და ახლა ქეთევანი თავის მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად ვაკის საცურაო აუზის გვერდით ცხოვრობს — იქ, სადაც საქართველოს საუკეთესო სპორტსმენთა ერთი დიდი ნაწილი დაბინავებულია. მანამდე, 1974 წლამდე ქეთევანი გლდანში ცხოვრობდა.

— ერთხელ, რომელიღაც შეხვედრაზე ჩვენმა სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვიქტორ სანეევმა ჩემთან იხუმრა, მე თბილისში დიღმის მასივიდან შემოვიპარე, შენ კი დედაქალაქში უფრო შორიდან დაგინყია დასახლებაო.

ახლა ვაკეში ქეთევან ლოსაბერიძის მყუდრო ბინაში ვარ და იქაურობას ვათვალთვლებ. ირგვლივ ისეთივე სისადავე და უბრალოება სუფევს, როგორც თავად დიასახლისია. როგორც ყველა ქალს, სამკაულები ჩვენს ოლიმპიურ ჩემპიონსაც უყვარს, ოღონდ ზომიერად. ერთადერთი სამკაული, რომელზეც გული სწყდება, ამბროზიანოს ტურნირზე მოგებული ის ვერცხლის ყელსაბამია, რომლის დაბრუნებაც ორი წლის მერე მოუწია, სუნამოებზე კი უარს ვერ ამბობს. განსაკუთრებით „შავ მაგიას“ აფასებს.

ბინაში ყველაზე მეტად თვალში საცემია წიგნების სიმრავლე. თაროების ერთი ნაწილი ფიზიკა-მათემატიკურ ლიტერატურას დაუკავებია, მეორე — ქეთევანის მეუღლის, განათლებით ფილოსოფოსისა და იურისტის, ნოდარ გვეტაძის წიგნებს დაუხუნძლია, მესამე — მათი შვილის, ასევე იურისტ თინიკოს სპეციალურ ლიტერატურას შეუვსია, დანარჩენი კი ქართველ თუ უცხოელ ავტორთა მხატვრულ თხზულებებს.



1981 წელს ქეთევან  
ლოსაბერიძე მეორედ  
გაბდა მსოფლიოს  
გუნდური ჩემპიონი





უძლიერესი სამეული —  
რუსტამოვა, ლოსაბერიძე  
და კოვბანი

კედლებს ამშვენებს რამდენიმე ფერწერული ნამუშევარი, თვალს იტაცებს სამურაების ხმალი და იქვე მზერას იპყრობს ერთი ვეება შავი ყანნიც, მაგრამ მე უფრო იაპონელთა ცივი იარაღისკენ გამიბრის თვალი. ჩემთვის ვფიქრობ, ეს ხმალი ალბათ იაპონიაში რომელიმე დიდ საერთაშორისო ტურნირზე გამარჯვებისთვის პრიზად გადასცეს-მეთქი. ჩემპიონი თითქოს კითხვას მიმიხვდაო და, აღმოჩნდა, რომ ხმალი მისი მეუღლისთვის დაბადების დღეს, 50 წლის აღსანიშნავად უჩუქებიათ.

ჰო, იმასაც ვამბობდი, ჩემს მზერას ვეება შავი ყანნიც რომ იპყრობდა. ალბათ ქმრის ნანადირევი ჯიხვისაა-მეთქი, მაგრამ საქორწინო საჩუქარი გამოდგა, ბატონ ნოდარს კი ნადირობას თურმე თევზაობა ურჩევნია.

იქვე ნადირობაზე მორიგი კითხვაც მეზადება. წინათ, გასული საუკუნის დასაწყისში ოლიმპიურ თამაშებზე მშვილდოსნები და ტყვიის მსროლელები ცოცხალ სამიზნეს, გარეულ მტრედებსაც ესროდნენ და მსგავსი რამ თქვენც ხომ არ გიცდიათ-მეთქი. აღმოჩნდა, რომ მეუღლისა არ იყოს, ნადირობა არც ჩვენს ამორძალს იზიდავს.

— მშვილდოსნობაში ვარჯიში რომ დავინყე, ჩვენი სარდაფის ტირში რადგან თოფიც იყო, ზოგჯერ ისე, სახალისოდ ვისროდი და ამ საქმეში მგონი მშვილდოსნობაზე ნაკლები პერსპექტივა არ მქონდა. სოფელშიც ხშირად ვისროდი თოფს და გოგრებს შიგ ათიანში ვარტყამდი. რომ გავთხოვდი, ამითაც თავი მომქონდა. ჰოდა, ერთხელაც, მეუღლის სოფელში რომ ჩავედი, მამამთილმა, ეტყობა, ჩემი გამოცდა გადანყვიტა. შემომჩივლა, წინილეს სინდიოფალა შემოეჩვია და სისხლი გაგვიშროო. მეც ავიღე თოფი და სინდიოფალას ჩავუსაფრდი. იმანაც დიდხანს არ მალოდინა და ხის ტოტებში დავლანდე. დავლანდე და მეც დავაბათქუნე. დავინახე, რომ ჩამოვარდა. მამამთილს ნიშნისმოგებით გადავხედე და „ნანადირევის“ ასაღებად მივირბინე. მაგრამ იქ ჩამოვარდნილი გადასხეპილი ტოტის მეტი ვერაფერი ვნახე. ნიშნისმოგებით ახლა მამამთილმა გადმომხედა, სულ ეგა ხარ, რაცა ხარო. მადლობა ღმერთს, რომ ავაცდინე. ცხოვრებაში ჭიანჭველისთვისაც კი არ დამიდგამს ფეხი და რალა ის სინდიოფალა უნდა მომეკლა.

აი, ამიტომაც ჩვენი წიგნის გმირს თავის წინამორბედ ოლიმპიელთა სროლა ცოცხალ სამიზნეზე ბარბაროსობად მიაჩნია. და რაკი ეს საქმე თავის დროზე სხვებმაც ამგვარ „გართობად“ ჩათვალეს, ამიტომაც ოლიმპიური პროგრამიდან ამოიღესო.

ახლა, როცა ცოცხალი სამიზნისა და სამურაების ხმლის ამბავი გავარკვევთ, იმ ყანწს მივუბრუნდეთ.

— ამ ყანწით ჯერ არავის დაუღევია. ცხრანლიანი მოლოდინის შემდეგ შვილი რომ შემეძინა, ამ ყანწის გამოცლა მაშინაც ვერავინ გაბედა. იქნებ მაშინ გამოცალოს ვინმემ, როცა შვილიშვილი შეგვეძინება. ამ ყანწისკენ არც ჩემს მეუღლეს გაურბის თვალი, თუმცა გვაქვს სხვა ყანწებიც, უფრო მომცრო და, როცა ჩემი თინიკო შეგვეძინა, მისი დაბადება იმ სასმელებითაც აღინიშნა. იმ დიდ ყანწს იქნებ ჩემი მეუღლის მეგობართაგან ვინმე მაშინ შეჭიდებოდა, როცა ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი და ამით ქმრის ახლობლებიც ძალიან გავახარე, მაგრამ ის ამბავი ჩემს დაბრუნებამდე რესტორანში აღუნიშნავთ. მეუღლემ მითხრა, შენ რომ ოლიმპიური ოქროს მედალი მოიგე, გახარებულმა „არავი“ დავხურე, მაგრამ ბოლოს მე აღარ გადამახდევინესო.

ერთი ამბავი ყოფილა ჩემს სოფელშიც. იქაც მამაჩემს ჩემი ოლიმპიური ჩემპიონობის აღსანიშნავად უმაღლესი დიდი სუფრა გაუშლია და მთელი სოფელი დაუპატიჟებია, მე კი მოსკოვში 2 აგვისტოს მთავრობის სახლში ბანკეტზე გამაქანეს. ორმაგად ყურადღების ცენტრში ვიყავი, რადგან წინა დღით დაბადების დღე მქონდა. ამბობდნენ, აი, დაბადების დღეს საჩუქარიც ასეთი უნდაო. იქ სულ ორიოდე ჭიქა დავლიე, მაგრამ ისე ვიყავი დაღლილ-დაქანცული და გამოფიტული, რომ იმ ორიოდე ჭიქამ საშინელ დღეში ჩამაგდო. ამიტომ ოლიმპიადის დახურვის ცერემონიაზე ვეღარ წავედი. ახლა გული იმაზე მწყდება, რომ ოლიმპიადის დახურვას ვერ დავესწარი. არადა, სასმელს ახლოსაც არ ვეკარებოდი, მაგრამ, ერთხელ, 1973 წელს ალმა-ათაში საკავშირო ჩემპიონატზე რომ მივემგზავრებოდი, მეუღლე ბაზარში გავარდა, იქიდან ხორაგით დატვირთული დაბრუნდა,



*ქეთევან ლოსაბერიძე  
და ელენე გოკიელი.  
თბილისის აეროპორტი,  
1980 წელი*

სუფრა გაშალა და მეზობლის ქალებს დაუძახა, მოდით, ქეთინოს გზა და-  
ვულოცოთ და გამარჯვება ვუსურვოთო. მერე იმ ქალებს თამადად და-  
უჯდა. აბა, ახლა ამას გაუმარჯოს და ახლა იმასო, ვინც ეს არ დალიოს,  
კიკას ცოლი იყოსო. კიკას ცოლობა კი არავის უნდოდა და ყველა სვამ-  
და. ასე ხუმრობა-ხუმრობაში ათ-ათი ჭიქა დაგვალევინა და საშინლად  
გამოგვათრო. დათრობა თუ ასეთი საზიზღრობა იყო, არ მეგონა. ამიტომ  
მეუღლეს ვუთხარი, კაცები თუ ამ საშინელებას იტანთ, ღმერთმა ხელი  
მოგიმართოთ-მეთქი...

ყოველივე ამას რომ მიაშობდა, თვალი ისევ სამურაების ხმლისკენ  
გამიბრბოდა და როცა ქეთევანის ბინას კიდევ ერთხელ მოვაველე თვალი,  
როგორც იქნა ქეთევანის ისრებიც აღმოვაჩინე. ვაზაში ყვავილებივით  
ჩაენყო და კუთხეში მიემალა. თანაბარი ზომის ისრებიდან ერთი თავისი

უჩვეულო სიგრძით გამოირჩეოდა. ორი მშვილდის სიგრძე იყო. მსგავსი არც შეჯიბრებებზე მინახავს, არც დოკუმენტურ ფილმებში თუ ფოტოებზე. იმ სიგრძე ისარს ჰერაკლე თუ ტყორცნიდა მხოლოდ. კაცი ტყვიას ტყვიაში აჯენდაო, გამიგონია, მაგრამ ისარი ისარში რომ ვინმეს ჩაეჯინოს, ასეთი რამ არ მსმენია. ის უჩვეულო სიგრძის ისარი სწორედ ისარში გარჭობილი ისარი აღმოჩნდა.

— ეს ამბავი მოსკოვში, „გაზაფხულის ისრებზე“ მოხდა. ისარი ისრისთვის სხვა დროსაც მომიხვედრებია. ერთ შეჯიბრებაში, მაგალითად, ათიანში ჩარჭობილ ისარს მეორე მოვახვედრე. პირველმა ისარმა მეორე აისხლიტა და რვიანში ჩაერჭო. მეტისმეტი სიზუსტის გამო ორი ქულა ხომ დავკარგე და დავკარგე, მაგრამ ამას ორივე ისარი ზედ მივაყოლე, რაკილა დაზიანდა. მსგავსი რამ იშვიათად, მაგრამ სხვებსაც შემთხვევით. აი, ამ „გაზაფხულის ისრების“ ამბავი კი მართლაც განსაკუთრებული იყო. პირველი ისარი ათიანის ცენტრში ჰორიზონტალური სიზუსტით ისე ჩაერჭო, თითქოს თარაზოთი გაუსწორებიათო. მეორე ისარიც ასევე თარაზოთი გასწორებულივით პირველს ჩაერჭო, თანაც ისე, რომ გადაბმის ადგილი აღარც თვალთ ჩანდა და ხელითაც აღარ იგრძნობოდა, თითქოს იუველირის დაუმუშავებიაო...

უცნაურია, მაგრამ სროლის ასეთი სიზუსტით გამორჩეული ქალბატონი, რომელიც ისარს ისარში აჯენდა და ამ საქმეში ჩუბინობაში განთქმულ კაცებსაც კი ხშირად სჯობნიდა, სროლის ტექნიკით სხვათათვის მაგალითი სულაც არ იყო. პირიქით, ქეთევან ლოსაბერიძის სროლის ტექნიკა ანტიმაგალითად მოჰქონდათ. მშვილდს რომ მოზიდავდა, გატყორცნის ბოლო წამს ისარს რალაც უცნაურად უშვებდა. თანაც მანამდე ისარს სხვათაგან განსხვავებით შუა და არათით იკავებდა. ამგვარად გატყორცნილი ისარი ათიანში კი არა, თითქოს საერთოდ იმ ცისარტყელასავით ჭრელ წრეებს უნდა ასცდენოდა. არადა, ქეთევანის ისარი ჩვეულებისამებრ პირდაპირ ათიანის ცენტრში მიფრინავდა და იქვე ერჭობოდა.

— ყველა მშვილდოსანს ვეუბნებოდი, შეხედეთ ქეთევან ლოსაბერიძეს, ისარი ასე არ უნდა ტყორცნოთ-მეთქი, — ამბობდა საბჭოთა მშვილდოსნების ნაკრების მწვრთნელი, — ბევრს ვცდილობდი, რომ ქეთევანისთვის სროლის ტექნიკა შემეცვალა და ეგრეთნოდებულ კლასიკურ ვარიანტზე გადამეყვანა, რომელსაც ჩვეულებრივ მაღალი კლასის მშვილდოსნები არიან დაუფლებულნი, მაგრამ ამ საქმისგან არაფერი გამოივიდა. იქნებ უკეთესიცაა, რომ ეს ვერაფრით შეეძელი. ამგვარმა სროლამ ხომ ქეთევანს ოლიმპიური ჩემპიონობა მოუტანა. რაც შეეხება ქეთევან ლოსაბერიძეს, როგორც პიროვნებას, საბჭოთა ნაკრებში ამ მხრივაც გამორჩეული იყო. ქეთევანს შეეძლო ეთქვა, ამ შეჯიბრებისთვის მზად არ ვარ და ჩემს ნაცვლად სხვა წაიყვანეთო. მსგავსი რამ მის თანაგუნდელებს არასოდეს ნამოცდენიათ. ქეთევანი მთელი საბჭოთა ნაკრების სინდისი იყო. როგორც ის იტყოდა, საქმეც ისე იქნებოდა ხოლმე...

ყველაზე მეტად ის გამიკვირდა, რომ იმ ხმლის გვერდით ვერსად დავინახე თავად მშვილდი, რომელმაც მის მფლობელს უამრავი ჯილდო, მედალი, სახელი და დიდება მოუტანა. ვერსად დავინახე მსოფლიოს მრავალ ქალაქში დასაკუთრებული ქეთევანის უმდიდრესი ნადავლი, რომელსაც სპორტსმენები სათუთად უფრთხილდებიან და მათ თვალსაჩინო ადგილზე ფენენ. ვიფიქრე, დიდი განუკითხაობის წლებში ხომ არ მოპარეს-მეთქი და როცა ქეთევანს ამაზეც ჩამოვუგდე სიტყვა, რაღაც უხერხულად შეიმშუშნა. ვიგრძენი, რაღაცის თქმას ერიდებოდა და ახლა ის ვიფიქრე, საყოველთაო გაჭირვების ჟამს ხომ არ გაყიდა-მეთქი.

— დალხენილი ცხოვრება, აბა, ვის ჰქონდა. სპორტი და სპორტსმენები, გნებავთ სხვები, ვიღას ახსოვდა, მით უმეტეს, ვეტერანები. ეგ კი არა, ოლიმპიური ჩემპიონობისთვის მოცემული მანქანით მთელი ოცი წელიწადი ვიარეთ. უხელფასო ქვეყანაში აბა, სად იყო მისი გამოცვლის შესაძლებლობა, თუმცა ამის გამო მედლები და პრიზები არ გამიყიდა და ეს აზრადაც არ მომსვლია. აბა, იმ ჯილდოებს როგორ შეველეოდი...



და როცა არ მოვეშვი, გაბუტული ბავშვივით მითხრა, ეს ჯილდოები ერთხანს მეც გამოფენილი მქონდა, მაგრამ ჩემს ქმარ-შვილს ჰგონია, რომ იმ ბრჭყვიალა მედლებით ამათ თავს ვამეტებ. ერთხელაც გაბრაზებულმა მოვხვეტე ის მედლები, ყუთში ჩავყარე და გადავმალე, თუმცა ჩემი ტიტულები ერთსაც ეამაყება და მეორესაც. ვგრძნობდი, მეუღლეს ჩემი გამარჯვებები უხაროდა, მაგრამ ოჯახში ამას არ იმჩნევდა. ეგ კი არა, თუ სადმე მეორე-მესამე ადგილს დავიკავებდი, მსაყვედურობდა, კი მაგრამ, შეჯიბრებებზე ამისთვის დადიხარ და ამისთვის ცდებიო? თუ მაინცდამაინც ოჯახს მონყდები, „ოქრო“ მაინც უნდა ჩამოიტანო. ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა შეჯიბრებაზე გამომყვა. ეს 1979 წელს იყო, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე. ამ შეჯიბრებაზე საგანგებოდ სარბიელზე ახლადდაბრუნებულმა ვერცხლის მედლის მოპოვება მაინც შევძელი. მეგონა, ქმარი ისევ იბუზღუნებდა, კი მაგრამ ამსიშორეზე ამისთვის წამოხვედი და მეც ამისთვის წამომიყვანეო, მაგრამ ხმა აღარ ამოუღია. პირიქით, როცა საკუთარი თვალით ნახა შეჯიბრების დაძაბულობა, მეტოქეთა თავგამოდებული ბრძოლა, სპორტსმენთა თუ მათ გულშემატიკივართა ნერვიულობა, განცდები და ემოციები, მითხრა, თურმე რა ძნელი ყოფილა გამარჯვება, ან იმეორე-მესამე ადგილებს აღარ გისაყვედურებო.

უფრო ძნელი იყო ბრძოლა მომდევნო საკავშირო სპარტაკიადაზე, რისთვისაც ქეთევანი კიდევ ერთხელ „ცეცხლის ხაზზე“ დააბრუნეს.

— მოსკოვის ოლიმპიური თამაშების მერე ვიმკურნალე და როცა 1982 წლის 26 ნოემბერს ჩემი თინიკო მოევიღინა ქვეყანას, მეგონა, მშვილდს საბოლოოდ ლურსმანზე ჩამოვკიდებ-მეთქი, მაგრამ მოახლოვდა სპარტაკიადა და ახლა საქართველოს სპორტკომიტეტის პოსტზე დავით პერტენავას მემკვიდრე რამაზ გოგლიძე, რომელიც ახალ ბინაში ჩვენს ქვემოთ ცხოვრობს, ჩემს მეუღლეს შეუჩნდა, იქნებ ქეთევანი როგორმე სარბიელზე დააბრუნოო. ხომ იცი, სპარტაკიადა როგორი მნიშვნელოვანი რამაა და უვარჯიშებელი ქეთევანი რაღაც ქულებს მაინც მოგვცემსო. აი, კიდევ



ვახტანგ ბლაგიძე,  
ქეთევან ლოსაბერიძე  
და მზია ჯუღელი



რობერტ შავლაყაძე და  
ქეთევან ლოსაბერიძე.  
2008 წელი

ერთხელ ასე დავუბრუნდი მშვილდოსნობას. ბავშვი სულ რამდენიმე თვის იყო და ამიტომ... რძალი და დედამთილიც გამომყვა. ჩემმა მეტოქეებმა ბავშვით ხელში რომ დამინახეს, თან გაუხარდათ, თან შეშინდნენ, შენ რა, მშვილდოსნობას უბრუნდებიო? გიყვარდეთ, დაბრუნება ძალიან მინდოდა. ჩემი შესაძლებლობები ამონურულად სულაც არ მიმანდა. მშვილდოსნობა და გამარჯვებისთვის ბრძოლები მესიზმრებოდა, გულის სიღრმეში კიდევ ერთ ოლიმპიურ თამაშებზე ვფიქრობდი, სხვა შეჯიბრებები კი დაბრუნებად არ ღირდა. რა თქმა უნდა, გამარჯვებები, ძველებურად ძალზე მიხაროდა, მაგრამ იმავდროულად ჩემი მეტოქეების დამარცხება მწყინდა. ყოველი გამარჯვების მერე ვფიქრობდი, ამით ხომ შენს მეტოქეებს ბედნიერება წაართვი-მეთქი. ამიტომაც იყო, ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე ღმერთს ვევედრებოდი, მოსკოვის ოლიმპიადაზე დამარცხებულ ნატალია ბუტუზოვას ოღონდ ახლა მოაგებინე და მეტი აღარაფერი მინდა-მეთქი. და როცა ბუტუზოვამ ის ჩემპიონატი მოიგო, პირველმა მე მივულოცე გამარჯვება ისევე, როგორც მან ოლიმპიური ოქრო პირველმა მე მომილოცა.

საერთოდ, საბჭოთა ნაკრებში ჩემს თანაგუნდელებთან და იმავდროულად მეტოქეებთან მეგობრული ურთიერთობა მქონდა. ყოველ შემთხვევაში, მე მუდამ ამას ვცდილობდი. ისე როგორ იქნებოდა, რომ თბილისში ჩამოსული თანაგუნდელი სასტუმროში გამეშვა. ვინლა არ ყოფილა ჩემს ოჯახში. ამგვარ ურთიერთობას სარბიელთან გამოთხოვების მერეც ვაგრძელებდი. რამდენიმე წლის წინათ ერთი თანაგუნდელი სამკურნალოდ რომ ჩამოვიდა, ჩემთან დავაბინავე, ექიმებთან მივიყვანე, ბოლოს „კატრექსიც“ ვუშოვე და გახარებულ-დაიმედებული გავისტუმრე, თუმცა ჩემს მიმართ ყველა ასეთი ყურადღებიანი არ იყო. ამ მხრივ ერთი ამბავი მწარედ დამამახსოვრდა და იმას რომ ვიხსენებ, ახლაც კი გული მიკვდება. მაშინ საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირიდან მოსკოვში ვბრუნდებოდით, მაგრამ თვითმფრინავის პირველ რეისზე მხოლოდ ორი ბილეთი აღმოჩნდა. ის ორი ადგილი მე და გაპჩენკოს მოგვცეს. მთელი გზა იმეორებდა და

იმეორებდა, დედამ იცის, ახლა რომ ვბრუნდები და ჩემს საყვარელ ბორშს დამახვედრებს, ერთი გემრიელად შევხვრიპავ და დავიძინებო. ჩვენ რომ თბილისისკენ ან ქუთაისისკენ გამოვფრენილიყავით, გაპჩენკოს უთუოდ შინ მივიპატიჟებდი. ამიტომ ვფიქრობდი, გაპჩენკო სადღაც სასტუმროში როგორ გამიშვებს-მეთქი და მეც დედამისის ბორშის შესახვერებად განვეწყე, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ — გაპჩენკოს აეროპორტში ოჯახის წევრები რომ დახვდნენ, შინისკენ ისე გააქანეს, ჩემსკენ არც მოუხედია, მე კი მშვილდოსნობის ფედერაციის წარმომადგენლებმა სადღაც „ვოდნი სტანციაზე“ მიკრეს თავი. იმ ღამეს მარტოობისგან შეშინებულს და გაპჩენკოსგან გულმოკლულს, თვალი არ მომიხუჭავს.

ერთი საპირისპირო მაგალითიც მახსენდება. გერმანიაში იქაური მშვილდოსნების ბაზაზე თავისუფალ დროს გოგოები აუზში ცურავდნენ, მე კი შორიდან ვუყურებდი, რადგან საცურაო კოსტიუმი არ მქონდა. ეს რომ ერთმა ჩემმა გერმანელმა მეტოქემ გაიგო, უმალ გაიქცა და მიყიდა. არადა, გერმანელებზე სულ სხვაგვარი წარმოდგენა მქონდა...

მაგრამ მეგობრობაზე მოგონებებმა სულ გადამავიწყა VIII სპარტაკი-ადა, რისთვისაც სარბიელზე კვლავ დამაბრუნეს. უვარჯიშებელმა იქ მეოთხე ადგილის დაკავება მაინც შევძელი. ნამდვილი გმირი ხარ, ცალ ხელში ბავშვი გიკავია, მეორეში მშვილდიო, მეუბნებოდნენ ჩემი მეტოქეები.

საბედნიეროდ, ჩვილმა შვილმა კიდევ ერთ ოლიმპიური თამაშებისთვის დედა სასროლეთზე აღარ გაუშვა. საბედნიეროდ იმიტომ, რომ დიდად განზილდებოდა, რადგან საბჭოთა კავშირმა ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებს ბოიკოტი გამოუცხადა და ისევე უგანა, როგორც ამერიკამ მოსკოვის ოლიმპიადას.

ახლა ყოველივე ამას რომ გიამბობთ, მახსენდება საკმაოდ ასაკოვანი მშვილდოსანი ქალები, რომლებიც ოლიმპიურ სარბიელზე გამოსულან და კვლავაც გამოდიან, თანაც ისინი სტატისტიკადაც კი არა, მედლებისთვის მებრძოლებად გვევლინებიან. გავიხსენოთ 1908 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშები, სადაც მშვილდოსანი ქალთა ტურნირში 54 წლის სიბილ



ქუეინ ნუვოდმა გაიმარჯვა. ასეთი პრეცედენტები იმ შორეულ წარსულში რომ არ ვეძებოთ, გავიხსენოთ მიუნხენის ოლიმპიური თამაშები, სადაც სრულიად ახალგაზრდა გოგომ, 22 წლის ქეთევან ლოსაბერიძემ ლიდერობა მომავალ ჩემპიონთან, 35 წლის უილბერთან დაკარგა, მეორე ადგილი კი 52 წლის პოლონელ ირენა შიდლოვსკასთან. ან გავიხსენოთ სიდნეის ოლიმპიური თამაშები, სადაც მშვილდოსანთა ტურნირი ავსტრიელმა ბეზიამ, 60 წელს მიტანებულმა ქალმა დაამშვენა.

„დავბერდი მშვილდი დავაგდე, ისარი კილო წითელი, სირცხვილს ერიდე ქალაუ, არ მოგიგრისოს კისერი,“ — ხალხურს მახსენებს ქეთევან ლოსაბერიძე და თან იცინის, არა, მშვილდოსნობისთვის დაბერებულად თავს სულაც არ ვგრძნობდი, მაგრამ ჩემი მთავარი სამიზნე შვილი იყო და პატარა თინიკოს ხომ მიხედვა სჭირდებოდაო.

— მშვილდოსანთა შეჯიბრებების მონაწილეთა ასაკში ხშირად საკმაო სხვაობაა. ტურნირში შეიძლება სრულიად ახალგაზრდამ გაიმარჯვოს, მაგრამ შემდგომ მსგავსი წარმატება ვეღარ გაიმეოროს. მშვილდოსნობაში არის პატარა-პატარა ნიუანსები და ეშმაკობები, ამაში გარკვევას კი წლები და გამოცდილება სჭირდება, რაც სპორტსმენის სტაბილურობას განაპირობებს. და მაინც, 50 წელს გადაცილებული მშვილდოსნები გამონაკლისები არიან. მათ გამოცდილება კი აქვთ, მაგრამ მკლავის ძალა და მხედველობა ლალატობთ. ამიტომ, ჩემი აზრით, მშვილდოსნობაში საუკეთესო შედეგების მისაღწევად ოპტიმალური ასაკი ალბათ მაინც 22-დან 35 წლამდეა...

ყოველივე ამას რომ მიხსნის, ინტერესი მკლავს, ქეთევან ლოსაბერიძეს ცოტა რომ წაევარჯიშა, ნეტა რას იზამდა ათენის, სიდნეის, ატლანტის, მით უმეტეს, უფრო ადრე ბარსელონისა და სეულის ოლიმპიურ ტურნირებში-მეთქი. გამომშვიდობებისას ამაზე სიტყვა რომ ჩამოვუგდე, თვალეები აუციმციმდა, ვინ იცის, ვინ იცის, თანამედროვე იარაღით ყველაფერია შესაძლებელი, ახლაც ინდაურისფრთიანი ისრებით ხომ არ ვივარჯიშებდიო.

## ქეთევან ლოსაბერიძე

დაიბადა 1949 წლის 1 აგვისტოს ტყიბულში. მშვილდოსანი. მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1980) და მიუნხენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (1972, IV ადგილი), მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1973, 81), ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი (1972) და ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1972, 78), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1973, 79) და სსრკ თასის მფლობელი (1972, 78), სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1979), მილანის (1975, 80), ლოდის (1976), კელნისა (1978) და ლვოვის (1981) საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი.



## KETEVAN LOSABERIDZE

Archer, was born on August 1, 1949 in Tkibuli (Western Georgia). She was a champion of the Moscow Olympics (1980), participant in the Munich Olympics (1972, 4th place), twice world champion in the team event (1973, 1981), champion of Europe (1972) and twice champion of Europe in the team event (1972, 1978). Losaberidze was twice champion of the USSR (1973, 1979), the USSR cup winner (1972, 1978) and silver medalist of the 8th USSR sports and athletics meeting (1979). She was a winner of the international tournaments in Milan (1975, 1980), Łódź (1976), Cologne (1978) and Lvov (1981). Losaberidze was the USSR Honored Master of Sports. She was decorated with Vakhtang Gorgasali Order of the 2nd class.